

ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს 2017 წლის ანგარიში

მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს, რომელიც ანგარიშს აბარებს პრემიერ-მინისტრს; ითვალისწინებს აგრეთვე ერთპალატიან პარლამენტსა და დამოუკიდებელ სასამართლოს. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და მთავარსარდალი. სექტემბერში დაკანონდა სადავო საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი, რომელმაც პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები გააუქმა და მთლიანად პროპორციული საპარლამენტო საარჩევნო სისტემის შემოღება 2024 წლამდე გადაავადა. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისას, საერთო ჯამში, დაცული იყო ამომრჩეველთა ფუნდამენტური თავისუფლება, ხოლო კანდიდატებს კამპანიის თავისუფლად ჩატარების შესაძლებლობა ჰქონდათ. ამავე დროს, დამკვირვებლებმა მიუთითეს არჩევნების პირველ და მეორე ტურებს შორის შედეგების გასაჩივრების პროცესში არსებული ნაკლოვანებების შესახებ, რამაც საჩივრის ქმედითად განხილვის უფლებას ჩრდილი მიაყენა. დამკვირვებლებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მთელ არჩევნებს მმართველი პარტიის დომინირება გასდევდა ფონად. მათი თქმით, იყო ამომრჩეველსა და კანდიდატებზე ზეწოლის შემთხვევები, აგრეთვე რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტი მოხდა. ეუთოს დამკვირვებლებმა 2016 წლის ოქტომბრის არჩევნებს უწოდეს კონკურენტული და ადმინისტრირებული იმგვარად, რომ კანდიდატებისა და ამომრჩევლის უფლებები დაცული იყო. დამკვირვებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ საარჩევნო გარემოზე გავლენა იქონია ბრალდებებმა საარჩევნო კამპანიის უკანონო მეთოდებით წარმართვის შესახებ, აგრეთვე ძალადობის ინციდენტებმა. დამკვირვებელთა თანახმად, საარჩევნო კომისიები და სასამართლოები ხშირად უგულვებელყოფდნენ გამჭვირვალობის პრინციპსა და საჩივრების სამართლიანად განხილვის უფლებებს არჩევნების პირველ და მეორე ტურს შორის, რამაც საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა შეასუსტა. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას, ეუთოს დამკვირვებლებმა დაასკვნეს, რომ ხმის მიცემა იყო “ქმედითად ორგანიზებული, გამჭვირვალე და მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში ჩატარდა,” მაგრამ მიუთითეს რამდენიმე პრობლემაზე, რომელთა შორისაა ბრალდებები ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური ზეწოლის, საარჩევნო კოდექსის დებულებათა შერჩევითი გამოყენებისა და კამპანიის დაფინანსების წესის სავარაუდო დარღვევებზე არასაკმარისი რეაგირების შესახებ.

სამოქალაქო ხელისუფლება ქმედით კონტროლს ახორციელებდა თავდაცვის სამინისტროზე. ამავე დროს, იყო ნიშნები, რომ დროდადრო, ის ვერ ახორციელებდა ქმედით კონტროლს შიდა უსაფრთხოების ძალებზე.

ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე მწვავე შემთხვევებს შორის იყო: მთავრობის წარმომადგენელთა სავარაუდო მონაწილეობა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის სავარაუდო გატაცებასა და აზერბაიჯანული მხარისათვის ძალით გადაცემაში; საქართველოს მოქალაქეების თვითნებური დაპატიმრებები და სიცოცხლის მოსპობა რუსეთისა და დე-ფაქტო ხელისუფლებათა მხრიდან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ, რომელიც საქართველოს რუსეთის

მიერ ოკუპირებულ მისი ტერიტორიებისაგან, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთისაგან ყოფს; მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევა; პირად სივრცეში ჩარევა; და ლგბტი (LGBTI) მოქალაქეთა წინააღმდეგ ძალადობა.

მთავრობამ გადადგა ნაბიჯები ადამიანის უფლებათა დარღვევების სავარაუდო შემთხვევების გამოსაძიებლად, მაგრამ ხარვეზები რჩებოდა.

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლებები ცენტრალური მთავრობის კონტროლის მიღმა რჩებოდნენ. მათ ზურგს უმაგრებდა რუსეთის რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურე და მესაზღვრე, რომლებსაც აღნიშნული ტერიტორიები ოკუპირებული აქვთ რუსეთთან 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ. აფხაზეთშიც და სამხრეთ ოსეთშიც ძალაში რჩებოდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. რუსი მესაზღვრეები ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილებას ზღუდავდნენ. სამხრეთ ოსეთთან შეზღუდული წვდომის გამო რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჰუმანიტარული ვითარების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია მწირი იყო, მაგრამ უფლებების დარღვევის შესახებ ბრალდებები გამუდმებით ისმოდა.

სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებები ზღუდავდნენ უმეტესად ეთნიკური ქართველების უფლებებს, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში ან სხვა ფორმით პოლიტიკურ პროცესებში ყოფილიყვნენ ჩართულნი; აგრეთვე ზღუდავდნენ მათი საკუთრების, ბიზნესის რეგისტრაციისა და მოგზაურობის უფლებებს. სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ 2008 წლის კონფლიქტისას გამოძევებული ეთნიკური ქართველების უმეტესობას სამხრეთ ოსეთში დაბრუნების უფლება არ მისცა, მაგრამ ახალგორის რაიონის მაცხოვრებლებისთვის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის საგანგებო რეჟიმი მოქმედებდა. დე ფაქტო ხელისუფლებები საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობას სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული დახმარების მიზნით რეგულარული შესვლის უფლებას არ აძლევდნენ. გრძელდებოდა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის რუსული „ბორდერიზაცია“, რაც მაცხოვრებლებს მათი თემისაგან და შემოსავლის წყაროსაგან აშორებდა.

ნაწილი 1. პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა, მათ შორის, მისი დაცვა:

ა. სიცოცხლის თვითნებური მოსპობისაგან, სხვა უკანონო ან პოლიტიკურად მოტივირებული მკვლელობისაგან

წლის განმავლობაში ხელისუფლების ან მისი წარმომადგენლების მიერ თვითნებური ან უკანონო მკვლელობის შესახებ ცნობა არ გავრცელებულა. მთავრობამ ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების მიერ წინა წლებში ჩადენილი რამდენიმე სავარაუდო მკვლელობის ფაქტზე გამოძიება გააგრძელა.

მაისში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დროებით წყვეტდა იმ პირის სისხლის სამართლებრივ დევნას, რომელიც 2016 წლის მაისში, ადმინისტრაციული საზღვრის

განაპირას, თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფელ ხურჩაში, ქართველი დევნილის მკვლელობაში იყო ძირითადი ექვმიტანილი. ექვმიტანილი რაშიდ კანჯი ოფლი კვლავ ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო 2008 წლის ომისას, სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებებზე გამოძიებას აგრძელებდა.

ბ. გაუჩინარებისაგან

მაისში აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა აფგან მუხტარლიმ მთავრობის წარმომადგენლები თბილისიდან მის გატაცებასა და აზერბაიჯანისათვის გადაცემის ხელშეწყობაში დაადანაშაულა (იხ. ნაწილი 1. დ., პოლიციისა და უსაფრთხოების აპარატის როლი).

ხშირად ვრცელდებოდა ცნობები საქართველოს მოქალაქეების დაკავებების შესახებ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ინფორმაციით, 1992-93 წლების აფხაზეთის ომისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად, 2,300-ზე მეტი მოქალაქე კვლავ დაკარგულად მიიჩნეოდა. ორგანიზაცია ნემტების იდენტიფიკაციისათვის ყველა მხარესთან, მათ შორის, სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობებთან მუშაობას განაგრძობდა.

გ. წამებისაგან, აგრეთვე სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია და კანონმდებლობა ამგვარ პრაქტიკას კრძალავს, ვრცელდებოდა ცნობები, რომ მთავრობის წარმომადგენლები ამ მეთოდებს მაინც იყენებდნენ. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებული საჩივრების რიცხვი გაიზარდა. სახალხო დამცველის ოფისი მიიჩნევდა, რომ სავარაუდო უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევების გამოძიება არ იყო ქმედითი, დამოუკიდებელი, სწრაფი ან მიუკერძოებელი. არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის ოფისი მთავრობას სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენელთა სავარაუდო გადაცდომების გამოსაძიებლად დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნას ურჩევდნენ. ისინი მთავრობას უსაფრთხოების თანამშრომლებზე ზედამხედველობის გაუმჯობესებას ურჩევდნენ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) აღნიშნა, რომ სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის საქმეზე საპატიმრო დაწესებულებებში მოთავსებული პირების სახელით მთავარ პროკურატურაში შვიდი საჩივარი შეიტანა გამოძიების მოთხოვნით. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ამავე ბრალდებით ხუთი საჩივარი შეიტანა სამართალდამცველი უწყებების თანამშრომელთა მიმართ, რომელთაგან ერთი, საიას შეფასებით, ეხებოდა წამებას, რადგან თებერვალში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულისათვის დაკავებულ პირს ჩვენების მიცემას აიძულებდნენ. დეკემბრისათვის აღნიშნული საქმის გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდებოდა. მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ საიასაგან 11 საჩივარი

პოლიციელთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების, ხოლო ოთხი საჩივარი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების საქმეზე მიიღო. მთავარი პროკურატურის ცნობით, პოლიციელთა მიერ სამსახურის სავარაუდოდ ბოროტად გამოყენების შემთხვევაზე რვა გამოძიება დაიწყო. წლის ბოლოსათვის ექვსი საქმე ჯერ კიდევ მიების პროცესში იყო. სხვა ოთხი მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მთავარი პროკურატურა პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ თანამდებობის სავარაუდოდ ბოროტად გამოყენების ოთხ საჩივარს სწავლობდა.

ოქტომბრისათვის სახალხო დამცველის ოფისმა მთავარ პროკურატურაში პოლიციელთა მიერ ადამიანის უფლებების სავარაუდო შელახვისათვის 10 საჩივარი შეიტანა, მაგრამ პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მხრიდან პატიმრების მიმართ სავარაუდოდ ძალადობის საქმეებზე არ მიუმართავს.

ხელისუფლებამ საანგარიშო წლის განმავლობაში სავარაუდოდ სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის საქმეებზე გამოძიებები ჩაატარა. სახალხო დამცველის ოფისმა შეაქო მთავრობა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მუხლით ოთხი ინციდენტის გამოძიებისათვის, რომელიც უფლებების სავარაუდოდ შელახვას ეხებოდა.

გაგრძელდა ადვოკატ გიორგი მდინარაძეზე 2015 წელს, ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილებაში, პოლიციის თანამშრომლების სავარაუდოდ თავდასხმის გამოძიება. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, პროკურატურას დამატებითი საქმეები არ აღუძრავს პოლიციის იმ სხვა თანამშრომლების მიმართ, რომლებიც სავარაუდოდ თავდასხმაში მონაწილეობდნენ. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომა რამდენჯერმე გადაიდო, რადგან პოლიციელები, რომლებიც მოწმედ დაიბარეს, სასამართლოში არ გამოცხადდნენ. პროკურატურამ ინციდენტის მონაწილე ერთ პოლიციელს სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადამეტების ბრალი წაუყენა. ოქტომბერში თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული პირი დამნაშავედ სცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, მაგრამ არა დამამძიმებელი გარემოებებით ძალადობის ჩადენით და ის 12,000 ლარით (4,870 აშშ დოლარი) დააჯარიმა, რაც, წინასწარ პატიმრობაში გატარებული ვადის გამო, 10,000 ლარამდე (4,000 აშშ დოლარი) შეუმცირა. პროკურატურამ განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. [საანგარიშო წლის დასასრულისთვის] საჩივარი განხილული ჯერ არ იყო.

დეკემბრისათვის, თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოფილი ხელისუფლების პერიოდში ჩადენილი სავარაუდოდ წამებისა და სხვა დანაშაულებებისათვის მთავრობის რამდენიმე ყოფილი წევრის საქმე იხილებოდა, მათ შორის იყო თავდაცვის ყოფილი მინისტრის მოადგილის დავით ახალაიას, გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილის გიორგი კალანდაძის, კულტურის ყოფილი მინისტრის მოადგილის გიორგი უდესიანის, გლდანის სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების ყოფილი დირექტორის ალექსანდრე მუხაძისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საქმეები.

წინა წლებისაგან განსხვავებით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დაკავებულ პირებს, საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე

დაბრუნების შემდეგ, დაკავებისას მათ წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობის შესახებ ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ.

ციხისა და დროებითი დაკავების ცენტრების პირობები

მართალია, საერთო ჯამში, ციხისა და დროებითი დაკავების ცენტრებში პირობები გაუმჯობესდა, ზოგიერთი ძველი დაწესებულების პირობები არააადამიანური იყო, არ იყო საკმარისი ვენტილაცია, ბუნებრივი სინათლე, საცხოვრებელი ფართის მინიმუმი და სათანადო ჯანდაცვა.

ფიზიკური პირობები: კანონი მოითხოვს, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოათავსონ. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, რამდენიმე დაწესებულებაში, განსაკუთრებით გლდანის მე-8 და ქუთაისის მე-2 დაწესებულებებში, მსჯავრდებულებსა და ბრალდებულ პირებს ისევ ერთად ათავსებდნენ დაწესებულებებში მუდმივი გადატვირთულობის მიზეზით.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წელს პენიტენციურ სისტემაში 27 პატიმარი გარდაიცვალა, მათგან 10 - პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო 17 - სამოქალაქო საავადმყოფოში. ივლისის მდგომარეობით, გარდაცვლილი იყო 11 პატიმარი, მათ შორის, რვა - პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო სამი - სამოქალაქო საავადმყოფოში.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობების პატიმართათვის საგანგებო სამედიცინო ჯგუფი ჰყავდა, 2015 წელს სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საჭიროებები, მათ შორის სამედიცინო მომსახურება, ციხეებსა და დროებითი დაკავების ცენტრებში გათვალისწინებული არ იყო. სახალხო დამცველის ოფისმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა უმეტესობამ არ შეადგინა მონაცემთა ბაზა და არ აღრიცხა, თუ რა სჭირდებოდათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საპატიმრო დაწესებულებებში არსებული პირობები ქრონიკულად ჩამოუვარდებოდა სტანდარტს.

ადმინისტრირება: სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ პატიმართა საჩივრებზე რეაგირების უფლება ომბუდსმენის მხოლოდ ერთ თანამშრომელს ჰქონდა მინიჭებული. სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ ხელის შემშლელი ფაქტორების გამო პატიმრებს სასამართლო ხელისუფლების სახელზე საჩივრების დაწერისაგან შეიძლება თავი შეეკავებინათ. ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის დასახელებული იყო პატიმართა მიერ მათი უფლებების არცოდნა, დაშინების შიში, საჩივრის შედეგისადმი უნდობლობა და კონფიდენციალობის არარსებობა.

სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, დროებითი დაკავების ცენტრებში დაკავებულთა რეგისტრაციისა და განაწილების შესახებ ინფორმაცია ხშირად არასრული და მცდარი იყო.

დამოუკიდებელი მონიტორინგი: მთავრობას საპატიმრო დაწესებულებების დამოუკიდებელი მონიტორინგის ნებართვა საპატიმროთა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე ადამიანის უფლებადამცველი ზოგიერთი ადგილობრივი და საერთაშორისო

ორგანიზაციისათვის ჰქონდა მიცემული. სახალხო დამცველის ქოლგის ქვეშ მოქმედ პრევენციის ეროვნულ მექანიზმს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესვლის უფლება ჰქონდა და მისი წარმომადგენლები საპატიმროებს გეგმიურად და არაგეგმიურად სტუმრობდნენ და სადამკვირვებლო ვიზიტებისას ფოტოებს იღებდნენ. თუმცა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის თანამშრომლებს არ გააჩნდათ შეუზღუდავი წვდომა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე მოვლენებს ამსახველ ვიდეო ჩანაწერებზე.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს (ICRC) საქართველოს ხელისუფლების კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ციხეებსა და დროებითი დაკავების ცენტრებზე სრული წვდომა გააჩნდა, აგრეთვე გააჩნდა შეზღუდული წვდომა სამხრეთი ოსეთის ციხეებსა და დროებითი დაკავების დაწესებულებებზე. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს აფხაზეთის ციხეებსა და დროებითი დაკავების ცენტრებზე წვდომა არ გააჩნდა.

გაუმჯობესება: სახალხო დამცველის ოფისის რეკომენდაციების საფუძველზე, სასჯელაღსრულების სამინისტრომ იმ ნებადართული დოკუმენტების სია შეადგინა, რომელთა ქონა პატიმრებს საკნებში შეუძლიათ. დოკუმენტებს შორისაა საბრალდებო დასკვნა, სასამართლოს დეტალური ოქმი, ქვითარი იმ პირადი ნივთების ჩამონათვალით, რომელიც მას საპატიმროში მოთავსებისას ჩამოართვეს, აგრეთვე ნებისმიერი დოკუმენტი მისი საქმიდან არა უმეტეს 100 გვერდისა. პარლამენტმა საკანონმდებლო შესწორება მიიღო, რომელიც დაბალი რისკის პატიმრებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც სასჯელს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში იხდიან, უმაღლესი განათლების მიღების უფლებას ანიჭებს. სახალხო დამცველის ოფისი ადმინისტრაციული პატიმრობის დროს პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალური ვადის 72 საათამდე შემცირებას, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ვიდეოჩანაწერების შენახვის მინიმალური ვადის ხუთ დღემდე გაზრდას მიესალმა, თუმცა ის პირველის 24 საათამდე შემცირებას, ხოლო მეორის 10 დღემდე გაზრდას უჭერდა მხარს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დროებითი დაკავების დეპარტამენტის თანამშრომლები გადაამზადა. გადაამზადება მოიცავდა დაკავებულის ტრავმების აღწერას, მათ შორის, ფოტოს საშუალებით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აგრეთვე განაცხადა, რომ დროებითი დაკავების ცხრა დაწესებულება განაახლა და 10 დაწესებულებაში ვენტილაციის სისტემები დაამონტაჟა.

დ. თვითნებური დაპატიმრებისგან ან დაკავებისაგან

კონსტიტუცია და კანონი თვითნებურ დაპატიმრებასა და დაკავებას კრძალავს და ნებისმიერ მოქალაქეს უფლებას ანიჭებს, მისი დაპატიმრების ან დაკავების კანონიერებაზე სასამართლოში იდაოს. მთავრობა ამ აკრძალვებს თანმიმდევრულად არ იცავდა.

ივლისში მთავარმა პროკურატურამ იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილს 2007 წელს ოპოზიციის ყოფილი ლიდერის კობა დავითაშვილის უკანონო დაკავებისა და გატაცებისთვის დაუსწრებლად წაუყენა ბრალი. ადეიშვილმა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეს დავით ქარსელაძეს სპეცრაზმის გამოყენება უბრძანა, რათა ოპოზიციის ლიდერებისათვის ხალხში გამოჩენისა და სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მიეცათ; უბრძანა

აგრეთვე, რომ სპეცრაზმი თავს დასხმოდა საპროტესტო აქციების მონაწილეებს. დეკემბრის მდგომარეობით, ადგიშვილის პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა.

20 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი დავით დევნოზაშვილი და სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე 2011 წელს „ფოტოგრაფების საქმესთან“ დაკავშირებით სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში დამნაშავედ სცნო. აღნიშნული საქმისას ყოფილმა ხელისუფლებამ ოთხი ფოტოგრაფი დააპატიმრა და მათ ჯაშუშობაში დასდო ბრალი. გავრცელებული ინფორმაციით, დევნოზაშვილმა და მუხაძემ ფოტოგრაფებს, მათი და მათი შვილების მიმართ მუქარით, ბრალის აღიარება აიძულეს. ფოტოგრაფები ყოფილი მთავრობის სამიზნეში მას შემდეგ აღმოჩნდნენ, რაც 2011 წლის საპროტესტო დემონსტრაციის დაშლისას ადამიანის უფლებების დარღვევა დოკუმენტურად ასახეს და ინფორმაცია მედიას მიაწოდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლო, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ფოტოგრაფების საქმეზე დამდგარი განაჩენის გადახედვით იყო დაკავებული.

პოლიციისა და უსაფრთხოების აპარატის როლი

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უპირველესი მოვალეობაა სამართალდამცავი ფუნქციის შესრულება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში ძირითადი სამართალდამცავი უწყებაა და პოლიციურ ძალებს, სასაზღვრო ძალებსა და საქართველოს სანაპირო დაცვას აერთიანებს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შიდა დაზვერვის სამსახურია, რომლის პასუხისმგებლობაში კონტრდაზვერვა, კონტრტერორიზმი და კორუფციასთან ბრძოლა შედის. ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას ფინანსურ საქმეების გამოსაძიებლად პოლიციური უფლებამოსილების საგამოძიებო სამსახურები აქვთ. პროკურატურის მოვალეობაა მნიშვნელოვანი საქმეებისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულთა გამოძიება. პროკურატურას უფლება აქვს, ხელი მოკიდოს ნებისმიერი გამოძიებას, თუ მიაჩნია, რომ ამგვარი ქმედება მართლმსაჯულების საუკეთესო ინტერესშია (მაგალითად, საქმეები, რომელშიც ინტერესთა კონფლიქტი ან პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტება ფიქსირდება). ზოგიერთ პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეებში, რომელთაც პროკურატურა იძიებდა, დაუსჯელობა პრობლემად რჩებოდა. თავდაცვის სამინისტრო საგარეო საფრთხეებისგან ქვეყნის დაცვაზეა პასუხისმგებელი, თუმცა შიდა არეულობის დროს მთავრობას შეუძლია თავდაცვის სამინისტროს დახმარება ითხოვოს.

გავრცელებული ინფორმაციით, უმაღლესი თანამდებობის სამოქალაქო პირები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე ქმედითი კონტროლის განხორციელებას. სამოქალაქო ხელისუფლება ქმედით კონტროლს ახორციელებდა თავდაცვის სამინისტროზე. სამთავრობო მექანიზმების ქმედითობა, გამოეძიებინა და დაესაჯა სამართალდამცავი და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილებათა გადამეტების შემთხვევები, შეზღუდული იყო. შედეგად, ქვეყნის შიგნით და გარეთ მათი დაუსჯელობის მიმართ ყურადღება გაიზარდა.

პრეზიდენტმა, სახალხო დამცველმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო თანამეგობრობამ შემოფოთება გამოთქვეს მთავრობის იმ წარმომადგენელთა დაუსჯელობის გამო, რომლებიც სავარაუდოდ მაისის მიწურულს თავისუფალი აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და აქტივისტის აფგან მუხტარლის საქართველოდან გატაცებასა და აზერბაიჯანისათვის მის გადაცემაში მონაწილეობდნენ. ინციდენტისთანავე, საქართველოსა და აზერბაიჯანის უსაფრთხოების სამსახურების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მუხტარლიმ საკუთარი ნებით გადაკვეთა აზერბაიჯანის საზღვარი. მუხტარლის ადვოკატის განცხადებით, მუხტარლის მიაჩნდა, რომ ის საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა თბილისში გაიტაცეს. მუხტარლის თქმით, მის გატაცებაში ქართულად მოლაპარაკე მამაკაცები მონაწილეობდნენ, რომლებსაც საქართველოს კრიმინალური პოლიციის ფორმები ეცვათ. გამტაცებლებმა ის საქართველოს კრიმინალური პოლიციის კუთვნილ მანქანაში სცემეს, რასაც შედეგად სისხლჩაქცევები და ცხვირის გატეხვა მოჰყვა. მუხტარლიმ თქვა, რომ ის აზერბაიჯანის საზღვართან გადაიყვანეს, სადაც აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებს გადასცეს. საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსნებმა, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრის ჩათვლით, ინციდენტში საქართველოს ხელისუფლების რაიმე ფორმით მონაწილეობა გამორიცხეს. მოგვიანებით, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა, პრემიერ-მინისტრის ჩათვლით, განაცხადეს, რომ დასკვნების გაკეთებამდე მთავრობა გამოძიების დასრულებას უნდა დალოდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო, მაგრამ მუხტარლის მეუღლემ, ლეილა მუსტაფაევამ (იხ. ნაწილი 2.დ.), სხვა აზერბაიჯანელმა აქტივისტებმა და ჟურნალისტებმა, სახალხო დამცველის ოფისმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიასაშუალებებმა გამოძიების პატიოსნება ეჭვქვეშ დააყენეს. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-მა ცალ-ცალკე ჩაატარეს კერძო გამოძიება. გამოძიებათა ამოცანა მუხტარლის სავარაუდო გადაცემის გზაზე კერძო ბიზნესების შენობებზე განთავსებული ვიდეოდაკვირვების კამერებიდან ჩანაწერის ამოღება იყო. არასამთავრობოებმა და რუსთავი 2-მა განაცხადეს, რომ გამოძიებამ მთავრობის მიერ მტკიცებულებათა განადგურების არაერთი ფაქტი გამოავლინა, მათ შორის კერძო ბიზნესების ვიდეოდაკვირვების კამერებიდან ჩანაწერების ამოღება და დამონტაჟება. ივლისში მთავრობამ ოფიციალური გამოძიების დასრულებამდე სასაზღვრო პოლიციისა და კონტრაფერვის სამსახურის უფროსებს უფლებამოსილებები შეუჩერა. 20 ივლისს გამოძიება პროკურატურამ გადაიბარა მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთარი თანამშრომლების საქმეთა გამოძიებისას ინტერესთა კონფლიქტი ჰქონდა. დეკემბრის მდგომარეობით, პროკურატურა ინციდენტის გამოძიებას აგრძელებდა.

ვრცელდებოდა ცნობები, რომ სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენება მოიცავდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებებს (იხ. ნაწილი 3).

ნოემბერში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლებმა საქართველოს შესახებ მთავრობას მოუწოდეს, ხელისუფლებაზე უსაფრთხოების სამსახურების სავარაუდო მზარდი გავლენის გამო შემოწმებისა და გაწონასწორების მექანიზმები გააძლიეროს და უსაფრთხოების ძალებზე საპარლამენტო კონტროლი და ზედამხედველობა სათანადოდ უზრუნველყოს. თანამომხსენებლებმა მთავარ პროკურატურას მოუწოდეს, მუხტარლის სავარაუდო გატაცების გამოძიება სრულიად გამჭვირვალედ გააგრძელოს.

2016 წლის სექტემბერში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს დავით ახალაიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ სამ ყოფილ მაღალჩინოსანს 2011 წლის საპროტესტო დემონსტრაციის ძალადობრივი დარბევის საქმეზე ბრალი წაუყენეს. გავრცელებულ ინფორმაციით, დარბევის ბრძანება შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გასცა, რომელიც საპატიმროში რჩებოდა. საანგარიშო წლის მიწურულს თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

დაპატიმრების პროცედურები და დაკავებულთა მიმართ მოპყრობა

სამართალდამცველებს პირის დასაპატიმრებლად სასამართლოს ნებართვა სჭირდებათ, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ეჭვმიტანილი მტკიცებულებას ანადგურებს ან დანაშაულს სჩადის. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმარტავს, რომ დაპატიმრების ორდერის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაჩვენებია, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლის სასჯელი დაპატიმრებაა, ან შესაძლოა, გაიქცეს ან არ გამოცხადდეს სასამართლოში, გაანადგუროს მტკიცებულება ან ჩაიდინოს ახალი დანაშაული. საიამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა ნათლად არ განმარტავს მოსამართლის როლსა და უფლებამოსილებას დაპატიმრების კანონიერების განხილვისას და რომ სასამართლოები ხშირად დაკავების ფაქტობრივ გარემოებებს არ ამოწმებდნენ.

დაპატიმრებისას, დაკავებულს უნდა განემარტოს მისი სამართლებრივი უფლებები. ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთდა დაპატიმრების შემდეგ, მაგრამ დაკავებულისათვის მისი სამართლებრივი უფლებების განმარტებამდე სასამართლოში განსახილველად არ მიიღება. ოფიცერი, რომელიც პირს აკავებს, ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ პოლიციის უახლოეს განყოფილებაში გადაიყვანოს და დაპატიმრება დაარეგისტრიროს, ხოლო რეგისტრაციის ასლი გადასცეს დაკავებულსა და მის ადვოკატს. სახალხო დამცველის ინფორმაციით, პოლიციის განყოფილებებში რეგისტრაციათა წარმოება არაორგანიზებულად ხდებოდა და ზოგიერთ ჩანაწერში დაუდგენელი იყო დაპატიმრების თარიღი და დრო.

დაკავებულებს ბრალი 48 საათში უნდა წარედგინოთ და 72 საათში სასამართლოში უნდა გადაიყვანონ. დადგენილი ვადების დარღვევა პირის დაუყოვნებელ გათავისუფლებას იწვევს. ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო აკავებენ, უფლება აქვს დაკავებიდან 12 საათის განმავლობაში სასამართლოში მისი საქმის განხილვა მოითხოვოს. დადგენილი ვადის დარღვევა პირის დაუყოვნებელ გათავისუფლებას იწვევს.

კანონი დაკავების ალტერნატივას ითვალისწინებს. არასამთავრობო ორგანიზაციები და სასამართლოს დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ სასამართლო სისტემა ალტერნატიულ ზომებს სათანადოდ არ იყენებდა.

დაკავებულებს უფლება აქვთ დაუყოვნებლივ მოითხოვონ მათთვის სასურველ ადვოკატთან დაკავშირება, აგრეთვე უფლება აქვთ, უარი თქვან ადვოკატის არყოფნაში რაიმე განცხადების გაკეთებაზე. დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ ხელმოკლე პირს უფლება აქვს სახაზინო ადვოკატის დანიშვნა მოითხოვოს.

დაკავებულებს, რომლებსაც ბრალი, შესაძლოა, სისხლის სამართლის დანაშაულისათვის წაუყენონ, უფლება აქვთ პროკურორსა და გამომძიებელს მოსთხოვონ, რომ დაკავებიდან სამი საათის განმავლობაში მათი ოჯახის წევრებს დაკავების შესახებ აცნობონ. პირებს, რომლებსაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ედავებიან, უფლება აქვთ, მოთხოვნისთანავე ოჯახის წევრებისათვის დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოითხოვონ. კანონის მოითხოვს, რომ საქმეზე ბრალდებელმა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების მოთხოვნები ოჯახის წევრებთან დაკავშირებასთან დაკავშირებით დააკმაყოფილოს.

2016 წლის თებერვალში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც მოწმეს უფლებას ანიჭებს, სისხლის სამართლის ზოგიერთი დანაშაულისათვის სამართალდამცველებს ჩვენებაზე უარი უთხრას. ასეთ შემთხვევაში, პროკურორებსა და გამომძიებლებს შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ და მოწმისათვის ჩვენების იძულებით ჩამორთმევა მოითხოვონ, თუ გააჩნიათ მტკიცებულება, რომ მოწმე „აუცილებელ ინფორმაციას“ ფლობს.

კვლავ შეშფოთებას იწვევდა ადმინისტრაციული წესით პატიმრობის გამოყენება, რომლის საფუძველზე ხელისუფლებას შეეძლო პირის 15 დღემდე ვადით დაპატიმრება დაცვის ქმედითი უფლების, დასაბუთების დადგენილი სტანდარტისა და გასაჩივრების ქმედითი უფლების გარეშე. სახალხო დამცველმა გააკრიტიკა ის საკანონმდებლო შესწორება, რომელიც 1 ნოემბერს ამოქმედდა და უფლებას იძლეოდა, ადმინისტრაციული პატიმრობა არასამუშაო საათების შემთხვევაში სასამართლოს მოსმენის გარეშე 48 საათს გაგრძელებულიყო, მიუხედავად კანონით დადგენილი 12-საათიანი ვადისა ადმინისტრაციული პატიმრობის შემთხვევაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, საანგარიშო წლის განმავლობაში ადმინისტრაციული წესით დროებითი დაკავების იზოლატორებში სასჯელი 549 პირმა მოიხადა. შედარებისათვის, 2016 წელს ეს რიცხვი 701, ხოლო 2015 წელს - 998 იყო.

მარტში პროკურატურამ პროკურორებისათვის გამოსცა გზამკვლევი საჯარო მოხელეთა მიერ მოქალაქეთა შესაძლო უფლებების დარღვევის საქმეთა გამოსაძიებლად. აღიძრა 99 საქმე. რვა საჯარო მოხელესა და სასჯელაღსრულების დაწესებულებათა შვიდ თანამშრომელს ბრალი წაუყენეს არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისათვის. პოლიციის ერთი თანამშრომელი კი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის გასამართლდა.

თვითნებური დაპატიმრება: არასამთავრობოებს თვითნებური დაპატიმრების შემთხვევა არ აღურიცხავთ.

წინასასამართლო დაკავება: არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ გირაოს ან წინასწარი პატიმრობის შეფარდების სტანდარტების არათანმიმდევრულ გამოყენებას; აღნიშნავენ, რომ პროკურორები და მოსამართლეები ზოგჯერ სათანადოდ არ ასაბუთებდნენ და არ განმარტავდნენ, თუ რატომ ითხოვდნენ ან უფარდებდნენ პატიმრობას და არ მსჯელობდნენ დაკავების კანონიერების შესახებ. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, სექტემბრის მდგომარეობით, წინასწარი პატიმრობა საქმეთა 33.5 პროცენტში გამოიყენეს. 2016 წლის იმავე პერიოდში წინასწარი პატიმრობის წილი 28.2 პროცენტი იყო. არასაპატიმრო აღმკვეთი ზომები გამოიყენეს საქმეთა 66.5 პროცენტში (ყველაზე ხშირად გამოყენებული არასაპატიმრო აღმკვეთი ზომას გირაო წარმოადგენდა, რომელიც სასამართლომ საქმეთა 61.6 პროცენტში გამოიყენა).

28 ნოემბერს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ECHR) დიდმა პალატამ საჩივრის განხილვისას დაადგინა, რომ 2013 წელს, წინასწარი პატიმრობისას, მთავრობამ და სასამართლომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის უფლებები დაარღვიეს, მაგრამ მერაბიშვილის დაკავების თავდაპირველ გადაწყვეტილებას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტანდარტები არ დაურღვევია. დიდი პალატის განაჩენი შეესაბამებოდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2016 წლის ივნისის განაჩენს. სასამართლომ მთავრობას ზიანის ასანაზღაურებლად 4,000 ევროს (4,800 დოლარი) გადახდა დააკისრა.

დაკავებული პირის მიერ დაკავების კანონიერების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა: გადაუდებელი აუცილებლობისას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირის სასამართლოს განჩინების გარეშე დაპატიმრებას ითვალისწინებს. პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, თუ დაპატიმრებისას არსებითი პროცედურული დარღვევა დადგინდა. გათავისუფლების გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი ან მოსამართლე პირის სასამართლოში პირველივე წარდგენისას დაპატიმრებიდან 72 საათის განმავლობაში. კანონის თანახმად, პირს უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან სრულად უნდა აუნაზღაურდეს. ადმინისტრაციული პატიმრობის კანონიერება - რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს - შეიძლება, გასაჩივრდეს პროკურორთან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პატიმრობათა სამართლებრივი განხილვა განსაზღვრული არ არის.

ე. უარისაგან სამართლიან საჯარო სასამართლოზე

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია და კანონმდებლობა დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას ითვალისწინებს, კვლავ რჩებოდა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევის ნიშნები. მოსამართლეები სასამართლოს სისტემის შიგნით და გარეთ პოლიტიკურ ზეწოლის მიმართ დაუცველნი იყვნენ.

თებერვალში, საკანონმდებლო პაკეტი, რომელსაც არაოფიციალურად „მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღა“ ჰქვია, ძალაში შევიდა. პარლამენტმა კანონის მისაღებად იანვარში, პრეზიდენტის მიერ მასზე დადებული ვეტო დაძლია. პრეზიდენტის ვეტოს საფუძველად ედო წუხილი, რომ კანონმდებლობის ზოგიერთი მუხლი მართლმსაჯულების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას აყენებდა ზიანს. ახალი კანონმდებლობით შემუშავდა წესები და

სტანდარტები, რომელთა ამოცანაა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისა და სამოსამართლო პროფესიის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება. პრეზიდენტმა, სახალხო დამცველმა და კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის გამოთქვეს წუხილი საკანონმდებლო პაკეტის აღსრულებასთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილეს გამოწვევებზე, რომელიც მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას ეხება. ამგვარ გამოწვევებს შორის დასახელდა ყველა დონის სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევის - ბევრის უვადოდ დანიშვნის - ხარვეზიანი პროცესი, რაც პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეებში სასამართლოს პოლიტიკური გავლენებისგან დაუცველს ხდიდა.

„კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მაისის ანგარიშში, სახელწოდებით „მართლმსაჯულების სისტემა: წარსულის რეფორმები და მომავლის პერსპექტივები“, განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც მართლმსაჯულების სახედამხედველო ორგანოა, „ვერ შეძლო მართლმსაჯულების სისტემის გარე და შიდა გავლენებისგან დაცვა. ამავე დროს საბჭოს გადაწყვეტილებები მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას ხშირად საფრთხეს უქმნიდა.“ კოალიციის ორი წამყვანი ორგანიზაციის, საიასა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მაისის ანგარიშებში, რომელიც 2016 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის შედეგებს ეხებოდა, გაკრიტიკებულია საბჭოს საქმიანობა. აღნიშნული ორგანიზაციები საბჭოს მის ხელთ არსებულ უფლებამოსილებათა მართლმსაჯულების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენებაში სდებენ ბრალს, განსაკუთრებით, როცა საქმე, კოალიციის წევრების თქმით, სუბიექტურად და თვითნებურად მიღებულ გადაწყვეტილებებს ეხება მოსამართლეთა დანიშვნასა და მათი დისციპლინის განხილვას. ორივე ანგარიშში დასახელდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსაზრებათა პლურალიზმის ნაკლებობა, საბჭოს ლოგისტიკურ საქმიანობაში გამჭვირვალობისა და ქმედითობის ნაკლებობა, მოსამართლეთა და სასამართლოების თავმჯდომარეთა დანიშვნის, აგრეთვე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსურველთა მიღების ხარვეზები. არასამთავრობოებმა, სახალხო დამცველმა და პრეზიდენტმა მოუწოდეს პარლამენტს, სათავეში ჩადგომოდა მართლმსაჯულების მომდევნო რეფორმებს და შეემუშავებინა ყოვლისმომცველი პაკეტი ისეთი სასამართლო სისტემის შესაქმნელად, რომელიც საზოგადოების ნდობას მოიპოვებდა,

მოხდა კიდევ ერთი მოვლენა, რამაც, შესაძლოა, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე მოახდინოს გავლენა. სექტემბერში პარლამენტმა კონსტიტუციაში შესწორება შეიტანა. შესწორების თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს გამოეყო და დამოუკიდებელი უწყება გახდა. შესწორება მოიცავდა დებულებას, რომელიც მთავარი პროკურორის დანიშვნის უფლებას პარლამენტს ანიჭებდა.

2016 წლის დეკემბერში საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის განმავლობაში მასთან მიმართებაში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილება არაკონსტიტუციურად გამოაცხადა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ახალი კანონის მოთხოვნამ, რომელიც ვადის ამოწურვისთანავე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დაუყოვნებელ გათავისუფლებას ითვალისწინებს, საქმეთა სწრაფად განხილვაზე, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს.

სასამართლო პროცედურები

კონსტიტუცია და კანონმდებლობა სამართლიანი და ღია სასამართლოს უფლებას უზრუნველყოფს. სახალხო დამცველმა სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის არაერთი შემთხვევის შესახებ აღნიშნა. არასამთავრობოებმა შენიშნეს, რომ ეს უფლება არ იქნა დაცული ზოგიერთ განმარტებულ, პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეში. მართალია, კონსტიტუცია და კანონმდებლობა უზრუნველყოფს ღია სასამართლოს უფლებას, არასამთავრობოების განცხადებით, სასამართლოები საზოგადოებისათვის სხდომათა დახურვას არათანმიმდევრულად უდგებოდნენ და ზოგჯერ, განმარტებასაც არ აკეთებდნენ, თუ რატომ მართავდნენ დახურულ სხდომებს.

ბრალდებულები ითვლებიან უდანაშაულოდ. მათ წაყენებული ბრალის შესახებ დაუყოვნებლივ და დაწვრილებით უნდა აცნობონ და გამოუყონ სახაზინო თარჯიმანი, თუ ეს საჭიროა. ბრალდებულებს უფლება აქვთ, სასამართლოში მათი საქმის განხილვას დაესწონ და მოითხოვონ ღია სხდომა იმ შემთხვევების გარდა, როცა საქმე ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას, პირად სივრცეს ან არასრულწლოვანის დაცვას.

სახალხო დამცველმა და არასამთავრობოებმა არაერთხელ გამოთქვეს წუხილი მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლის გიორგი მამალაძის საქმის გამოძიებასა და სასამართლო სხდომის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ის თებერვალში „მაღალი იერარქიის საეკლესიო პირის მკვლელობის მცდელობის“ ბრალდებით დააპატიმრეს. სახალხო დამცველმა და არასამთავრობოებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ საქმეზე მთავრობის მოხელეთა (მათ შორის, პრემიერ-მინისტრის) განცხადებებმა უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია. განაცხადეს აგრეთვე, რომ დასახელდა შეუსაბამო მიზეზი სასამართლო სხდომის დასახურად; საქმეს დაერთო საექვო მტკიცებულება და დაფიქსირდა სხვა დარღვევები, რომელმაც ბრალდებულსა და მის ადვოკატებს სათანადო დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების შესაძლებლობა წაართვა. სასამართლო სხდომამდე სასამართლომ დარღვევები განიხილა და ისინი დაუსაბუთებლად მიიჩნია, აგრეთვე ვერ აღმოაჩინა პროკურატურის ქმედებებში დარღვევები. სექტემბერში სასამართლომ ბრალდებულს „განზრახ მკვლელობის მომზადებისათვის“ ცხრაწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ნოემბერში მთავრობის ბევრმა მოხელემ სახალხო დამცველი გააკრიტიკა განცხადებისათვის, რომელშიც სახალხო დამცველი მთავრობას მამალაძის საქმესთან დაკავშირებულ დარღვევებში ადანაშაულებდა (იხ. ნაწილი 5).

კანონმდებლობა ითვალისწინებს დაუსწრებელ გასამართლებას ზოგიერთ იმ საქმეზე, რომელშიც ბრალდებული ქვეყნიდან წასულია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს სათანადო სამართლებრივი პროცედურების დაცვას უდანაშაულობის პრეზუმფციის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმ დარღვევებზე, რომელსაც ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება მოჰყვეს.

კანონი არ განსაზღვრავს საქმის გამოძიების მაქსიმალურ ვადას, თუმცა ითვალისწინებს სასამართლო განხილვის მაქსიმალურ ვადას, თუ ეჭვმიტანილი პირი დაკავებულია. სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსი მოითხოვს, პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი წინასასამართლო განხილვის დასრულებიდან არაუგვიანეს 24 თვეში გამოიტანოს.

საიამ აღნიშნა, რომ საქმეთა წარმოებისა და სასამართლო მოსმენის დაუსაბუთებელი გაჭიანურება დროული მართლმსაჯულების უფლების შეზღუდვის სერიოზული მიზეზი იყო. საიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ მოსამართლეები ბევრ საქმეზე წესრიგს ვერ იცავდნენ. სახალხო დამცველმა სასამართლოთა გადაწყვეტილებებში დასაბუთების სისუსტეს გაუსვა ხაზი.

გაჭიანურებული სასამართლო პროცესის მაგალითი იყო თემურ ბარაბადისა და „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის ლაშა შანიძისა და მისი მამის შალვას ერთმანეთთან დაკავშირებული საქმეები. სასამართლო დოკუმენტების თანახმად, ბარაბადემ შანიძის საწინააღმდეგო ჩვენება 2009 წელს ძალტანების ქვეშ მისცა, მაგრამ მოგვიანებით ჩვენება უარყო. შვიდ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე საქმის განხილვა სასამართლოში გაზაფხულზე განახლდა. ბარაბადის იძულებითი ჩვენების საფუძველზე შანიძისათვის გამოტანილი მსჯავრის გადახედვა სასამართლოს მიერ საანგარიშო წლის მიწურულს ჯერაც დაუსრულებელი იყო.

კიდევ ერთ გაჭიანურებულ საქმეში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პროკურატურას თავდაპირველად უარი უთხრა ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მრჩევლის თემურ ბასილიასათვის 2008 წელს გამოტანილი მსჯავრის გადახედვაზე. პროკურატურის თხოვნის საფუძველი იყო ის, რომ ბასილიას სისხლის სამართლის საქმეში მთავრობის ყოფილი მოხელეების მიერ ჩადენილი მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოაჩინა. როდესაც უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს საქმის გადახედვა დაავალა, სააპელაციომ ხელახალი განხილვა ივლისში დაიწყო, მაგრამ შემდეგ საქმე გადადო.

ბრალდებულებს უფლება აქვთ, შეხვდნენ სასურველ ადვოკატს ხელის შეშლის, ზედამხედველობისა და არაჯეროვანი შეზღუდვის გარეშე. ბრალდებულებს უფლება აქვთ, დაენიშნოთ ადვოკატი სახაზინო წესით, თუ ისინი უქონელნი არიან, მაგრამ ბევრს დაცვის მოსამზადებლად საჭირო დრო და სამუშაო სივრცე ყოველთვის არ ჰქონდა. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, სახაზინო ადვოკატები, როგორც წესი, ხელმისაწვდომნი იყო მათთვის, ვინც ამას საჭიროებდა, თუმცა სახაზინო ადვოკატები ბრალის წაყენებამდე ან საპროცესო შეთანხმებამდე ხშირად წარმოდგენილი არ იყვნენ.

ბრალდებულებსა და მათ ადვოკატებს უფლება აქვთ, გაეცნონ მათ საქმეში ბრალდების მხარის მტკიცებულებებს წინასასამართლო სხდომამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა, მათ შორის სისხლის სამართლის საქმეში და გააკეთონ ასლები. ბრალდებულებს უფლება აქვთ, კითხვები დაუსვან და დაუპირისპირდნენ ბრალდების მოწმეებს, აგრეთვე სასამართლოზე საკუთარი მოწმეები და მტკიცებულებები წარადგინონ. ბრალდებულებს უფლება აქვთ, არ მისცენ ჩვენება და არ ამხილონ საკუთარი თავი. მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, ბრალდებულებს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ მსჯავრი, ადმინისტრაციული კოდექსის ფარგლებში ქმედითი გასაჩივრება რთული იყო. კანონის თანახმად, ბრალდებულებს გასაჩივრებისათვის სასამართლოს წერილობითი და დასაბუთებული განაჩენის მიღებიდან 30 დღე აქვთ. ადმინისტრაციული სასჯელები, რომელიც

თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, უნდა გასაჩივრდეს 48 საათში, ხოლო სხვა სასჯელები - 10 დღეში.

კანონის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადასტუროს, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან უკანონო დაპირების გარეშე და რომ ბრალდებულს საშუალება ჰქონდა, მიეღო სამართლებრივი დახმარება. საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სათანადო სამართლებრივი პროცედურების გარანტიებს ითვალისწინებს, მათ შორის იმას, რომ საქმიდან ამოღებულ იქნას სასჯელზე თანხმობა ბრალის აღიარების გარეშე და ბრალდებულს განაჩენზე საპროცესო შეთანხმების საშუალება მიეცეს. საპროცესო შეთანხმებებისას საკმარისი მტკიცებულების სტანდარტი ითვალისწინებს, რომ მტკიცებულება საქმის არსებითი განხილვის გარეშეც საკმარისი უნდა იყოს პირის დამნაშავედ ცნობისათვის, აგრეთვე მტკიცებულებამ უნდა დაარწმუნოს ობიექტური პირი, რომ დანაშაული ბრალდებულმა ჩაიდინა. საიას ცნობით, წინა საანგარიშო პერიოდებისაგან განსხვავებით, სასამართლოები უფრო დაწვრილებით იკვლევდნენ იმას, რომ ბრალდებული საპროცესო შეთანხმებას თავისი ნებით დებდა და რომ სისხლის სამართლებრივი სასჯელი, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ, სამართლიანი იყო.

პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულები და დაკავებულები

ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და პატიმრების ოჯახის წევრები აცხადებდნენ, რომ მთავრობას პოლიტიკური პატიმრები ჰყავდა. მთავრობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს იმ პატიმრებთან შეხვედრის უფლებას აძლევდა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ან დაკავებულები არიან. ამ უფლებით რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ ისარგებლა.

სამოქალაქო სამართლებრივი პროცედურები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები

კონსტიტუცია უზრუნველყოფს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას სამოქალაქო სამართლის საქმეებში, თუმცა გამოითქვა წუხილი სამოქალაქო სამართლის მოსამართლეთა პროფესიონალიზმსა და მათი გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. კონსტიტუცია და კანონმდებლობა ამბობს, რომ პირი, რომელსაც მიადგა ზიანი თვითნებური დაკავების, სხვა უკანონო ან თვითნებური ქმედების, მათ შორის ადამიანის უფლებათა დარღვევის შედეგად, უფლება აქვს, სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით მიმართოს. პირებს უფლება აქვთ, სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელშიც სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევას ედავებიან, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრონ მას შემდეგ, რაც ქვეყნის შიგნით გასაჩივრების ყველა საშუალება ამოიწურება.

საკუთრების უფლების აღდგენა

გავრცელებული ინფორმაციით, საკუთრების უფლების რამდენიმე საქმეში სამართლიანი სასამართლოს პროცედურები და კანონის უზენაესობის პატივისცემა დაცული არ იყო. სახალხო დამცველმა და მთავარმა პროკურატურამ განაცხადეს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების

შემდეგ ბიზნესების არაერთმა ყოფილმა მფლობელმა და ცალკეულმა პირმა განაცხადა, რომ ყოფილი ხელისუფლების მოხელეებმა ქონება უკანონოდ ჩამოართვეს. არასამთავრობოებმა გაავრცელეს ინფორმაცია რამდენიმე საქმის შესახებ, რომელშიც ჯგუფები ამტკიცებდნენ, რომ ყოფილმა მთავრობამ არასათანადოდ გამოიყენა სახელმწიფოს უფლება კერძო საკუთრების იძულებით ჩამორთმევის შესახებ ან აიძულა ისინი, საკუთრება უსამართლოდ დაბალ ფასში დაეთმო.

მთავარ პროკურატურაში არსებული სამართალწარმოების დროს ჩადენილ დანაშაულთა საგამომიებო დეპარტამენტი წინა მთავრობისას საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევის ბრალდებებს იძიებდა. სამი საჯარო მოხელე მოქალაქეთათვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევის საქმეში დამნაშავედ სცნეს. სასამართლოებმა ქონებათა ჩამორთმევის 20 შემთხვევა დაადგინეს მოსარჩელებმა დაახლოებით 15 მილიონი ლარის (6 მილიონი დოლარი) ღირებულების ქონება მიიღეს. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ასობით პირი კომპენსაციას ჯერ კიდევ ელოდა.

აფხაზეთში დე-ფაქტო სამართლებრივი სისტემა იმ ეთნიკურ ქართველებს, რომლებმაც 1992-93 წლების ომამდე, ომის პერიოდში ან ომის შემდეგ დატოვეს აფხაზეთი, საკუთრებაზე პრეტენზიის გამოთქმას უკრძალავს. შესაბამისად, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებს (IDP) აფხაზეთში საკუთრების უფლება ჩამორთმეული აქვთ.

2010 წლის ბრძანებით, სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორის რაიონში საქართველოს მთავრობის მიერ 1991-2008 წლებში გაცემული უძრავი ქონების ყველა საბუთი ძალადაკარგულად გამოაცხადა. ბრძანებაში ასევე გაცხადებული იყო, რომ ახალგორის რაიონში მთელი უძრავი ქონება დე-ფაქტო ხელისუფლებას ეკუთვნის, ვიდრე „მოქალაქის“ უფლება ამ საკუთრებაზე არ დადგინდება დე-ფაქტო „კანონმდებლობის“ შესაბამისად. აღნიშნული განკარგულება 2008 წელს ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ ეთნიკურ ქართველებს რეგიონში საკუთრების უფლებას, ფაქტობრივად, ართმევს.

სექტემბერ-ოქტომბერში სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ სამართლებრივი პროცედურების გარეშე სოფელ ერედვში ქართველ იძულებით გადაადგილებულ პირთა 268 დაზიანებული სახლი დაანგრია.

ვ. თვითნებური ან უკანონო შეჭრისაგან პირადულ სივრცეში, ოჯახში, სახლში ან მიმოწერაში

კონსტიტუცია და კანონმდებლობა ასეთ ქმედებებს სასამართლოს ნებართვის ან კანონიერი აუცილებლობის გარეშე კრძალავს. პოლიციას აგრეთვე ეკრძალება საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა, შეუთანხმებელი ელექტრონული თვალთვალი ან დაკვირვება სასამართლოს ორდერის გარეშე. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიასაშუალებებმა და სხვებმა განაცხადეს, რომ მთავრობა ამ აკრძალვებს არ იცავდა. მაგალითად, ფართოდ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მთავრობა პოლიტიკურ ოპოზიციას უთვალთვალებდა. ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობოებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ მთავრობის მოხელეები უთვალთვალებდნენ საქართველოში მცხოვრებ დამოუკიდებელ აზერბაიჯანელ ჟურნალისტებსა და აქტივისტებს.

აპრილში არასამთავრობოებმა და სახალხო დამცველმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს და ელექტრონული თვალთვალის შესახებ კანონი გაასაჩივრეს. მოსარჩელებმა განაცხადეს, რომ ახალი კანონი არ აკმაყოფილებდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილებას, რომელიც ელექტრონული თვალთვალის საზედამხედველოდ დამოუკიდებელი უწყების შექმნას მოითხოვდა.

მთავრობა აგრძელებდა 2016 წლის სექტემბერში ინტერნეტით გავრცელებული იმ აუდიოჩანაწერის საქმის გამოძიებას, რომელშიც, როგორც ამბობდნენ, ყოფილი პრეზიდენტი და ოპოზიციის სხვა ლიდერები რევოლუციის შესაძლებლობასა და მისი ორგანიზებისათვის საჭირო ლოგისტიკას განიხილავდნენ. ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი გამოთქვამდა წუხილს, რომ მთავრობა განზრახ აჭიანურებდა გამოძიებას, რათა გაემართლებინა იმ პოლიტიკური ოპონენტების თვალთვალი, რომლებიც როგორც ამბობდნენ, აუდიოჩანაწერში ფიგურირებდნენ.

ნაწილი 2. სამოქალაქო თავისუფლებების პატივისცემა, მათ შორის:

ა) გამოხატვისა და პრესის თავისუფლების

კონსტიტუცია და კანონმდებლობა უზრუნველყოფს გამოხატვის, მათ შორის პრესის თავისუფლებას და მოქალაქეებიც ძირითადად თავისუფლად სარგებლობდნენ ამ უფლებით, თუმცა გაკეთდა განცხადებები, რომ მთავრობა ზოგჯერ სათანადოდ არ იცავდა მას. საანგარიშო წლის განმავლობაში ჟურნალისტებმა, არასამთავრობოებმა და საერთაშორისო თანამეგობრობამ გამოთქვეს წუხილი პლურალისტურ მედიაგარემოსთან დაკავშირებით.

გამოხატვის თავისუფლება: პირები უმეტესად თავისუფლად აკრიტიკებდნენ მთავრობას ანგარიშსწორების შიშის გარეშე, მაგრამ 10 ივნისს ორი რეპერის დაპატიმრებამ საზოგადოების მღელვარება გამოიწვია. რეპერებს ნარკოდანაშაულში დასდეს ბრალი. დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე მათ ინტერნეტით ატვირთეს ვიდეო, რომელშიც პოლიციას აკრიტიკებდნენ. სახალხო დამცველმა და არასამთავრობოებმა მიიჩნიეს, რომ ვიდეო გამოხატვის თავისუფლებით სრულად იყო დაცული. არასამთავრობოები გამოთქვამდნენ წუხილს, რომ მთავრობისა და ყოფილი მთავრობის მოხელეთა მიერ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის საჯარო კრიტიკა, მათ შორის, მოწოდებები არასამთავრობოთა ცალკეული ლიდერების საქმიანობისა და მედიაფლობელთა პოლიტიკური კავშირების გამოძიების შესახებ, ჟურნალისტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს თვით-ცენზურას აიძულებდა.

პრესისა და მედიის თავისუფლება: დამოუკიდებელი მედია ძალიან აქტიური იყო და მრავალფეროვან შეხედულებებს გამოხატავდა. თუმცა სამი ტელევიზიის, „იმედის“, „მანესტროსა“ და „ჯიდიესის“ გაერთიანებამ, აგრეთვე საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში ხელმძღვანელობის შეცვლამ მედიაპლურალიზმი შეასუსტა და საზოგადოებაში გააძლიერა აღქმა, რომ მედიაგარემო სულ უფრო მეტად იცვლება მმართველი პარტიის სასარგებლოდ. 4 ნოემბრის განცხადებაში 29 არასამთავრობო გამოხატა შეშფოთება საზოგადოებრივი სახსრებით დაფინანსებულ საზოგადოებრივ მაუწყებელში მთავრობასა და ყოფილ პრემიერ-მინისტრთან

დაახლოებული პირების გავლენის ზრდის გამო. პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადახლისებულ სამეთვალყურეო საბჭოში სამი თავისუფალი ადგილი შეავსო, რითაც მედია-ადვოკატებისა და სამოქალაქო საზოგადოების ქება დაიმსახურა. საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა პარლამენტში განსახილველად შეიტანა საკამათო ცვლილება მაუწყებლობის შესახებ კანონში, რამაც წარმოშვა წუხილი მაუწყებლის რესტრუქტურის გამჭვირვალობასთან, აგრეთვე მაუწყებლის ხელმძღვანელებს შორის ძალაუფლების კონსოლიდაციასთან დაკავშირებით. კანონის შემოთავაზებული შესწორება პარლამენტმა 22 დეკემბერს მიიღო. წლის ბოლოს ის პრეზიდენტის ხელმოწერას ელოდა. ვარაუდობენ, რომ შესწორება გაზრდის საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტს, დაასუსტებს სამეთვალყურეო საბჭოს, გაზრდის კორუფციის რისკს და შეასუსტებს თანამშრომელთა დაცვის მექანიზმებს.

მაუწყებლობის შესახებ კანონში 2011 წელს შეტანილი შესწორებების შემდეგ, რომელიც მედიაკომპანიებს მფლობელთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას ავალდებულებს, მედიამფლობელობა უფრო მეტად გამჭვირვალე გახდა. გამჭვირვალე მედიამფლობელობამ მაყურებელს ახალი ამბების ობიექტურობის შეფასების საშუალება მისცა, მაგრამ მედიაექსპერტებმა აღარეს, რომ გამჭვირვალობა სრულყოფილ არ იყო. 2013 წლის შესწორება, რომელიც მაუწყებლებს ავალდებულებს, გაასაჯაროონ დაფინანსების წყაროები, ბოლომდე არ სრულდებოდა.

ზოგიერთმა მედიასაშუალებამ, სადამკვირვებლო ჯგუფმა და არასამთავრობო მოქალაქეებმა წუხილი იმ გარემოს გამო, რომელიც მედიამრავალფეროვნებას ზღუდავს, აგრეთვე მედიის, განსაკუთრებით, მთავრობის მიმართ კრიტიკული მედიის საქმეებში პოლიტიკური ჩარევის გამო. განსაკუთრებული შემოთვლების საგნად რჩებოდა ზოგიერთი მედიასაშუალების საქმეებში მთავრობის ჩარევა, აგრეთვე მთავრობის მიერ ამ მედიაკომპანიების, განსაკუთრებით ქვეყნის ყველაზე რეიტინგული სატელევიზიო არხის, რუსთავი 2-ის პრო-ოპოზიციური სარედაქციო პოლიტიკის კრიტიკა. არასამთავრობოებმა გააკრიტიკეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის სისუსტე, როდესაც 2 მარტს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსთავი 2-ზე საკუთრების უფლება ყოფილ მფლობელ ქიზარ ხალვაშს გადაეცა. 3 მარტს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ უზენაესი სასამართლოს განაჩენი შეაჩერა, ვიდრე ის თავად არ განიხილავს საქმეს. რუსთავი 2 ფინანსურად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა მისი გაყინული აქტივებისა და გადაუხდელი გადასახადების მიზეზით.

ივნისში საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ გამოთქვა წუხილი საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში გარკვეული პროგრამების დახურვის გამო და მაუწყებლის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ საზოგადოებრივი მაუწყებელი იმის გამო გააკრიტიკა, რომ ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების წინ ის „არ ასრულებდა ვალდებულებას, საზოგადოებას დროულად და სრულყოფილად მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში, რეგიონსა და მსოფლიოში განვითარებული მოვლენების შესახებ,“ რადგან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეწყვიტა ახალი ამბების გამოშვებები, სოციალურ-პოლიტიკური გადაცემები პრაიმ-ტაიმში და წინასაარჩევნო დებატები.

ძალადობა და შევიწროება: დანაშაული მედიაპროფესიონალთა, მოქალაქე-ჟურნალისტთა და მედიასამუშაოების მიმართ იშვიათად ხდებოდა. 2016 წელს გავრცელდა ერთი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსთავეში პოლიცია ფიზიკურად და სიტყვიერად თავს დაესხა ონლაინ მედიაკომპანია „მედია.ჯის“ მთავარ რედაქტორ დავით მჭედლიძეს. სექტემბერში გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

ივლისში მარნეულის სათემო რადიოს დირექტორმა კამილა მამედოვამ მარნეულის პოლიციას „მთავრობისა და მასთან დაკავშირებული პირების მიერ კრიტიკული რადიოსიუჟეტების გამო“ რადიოზე ზეწოლის ფაქტების გამოძიება სთხოვა. ეს ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გავრცელა. მამედოვას განცხადებით, მასა და მის თანამშრომლებს ემუქრებოდნენ, აგრეთვე მისი სახელით ფეისბუქში ყალბი გვერდი გახსნეს. თვის ბოლოს მარნეულის პოლიციამ განაცხადა, რომ გამოძიების დასაწყებად საკმარისი საფუძველი არ არსებობდა.

არასამთავრობო გავლენა: მედიადამკვირვებლების, არასამთავრობოთა წარმომადგენლების და ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა განცხადებით, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ძლიერ გავლენას ახდენდა მთავრობასა და სასამართლო ხელისუფლებაზე, მათ შორის, პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებაზე რუსთავი 2-ის მფლობელთა წინააღმდეგ.

აფხაზეთში მედია შედარებითი მრავალფეროვანი იყო. ამავე დროს, სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მედია კვლავ შეზღუდული იყო დე-ფაქტო ხელისუფლებისა და რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ.

ინტერნეტის თავისუფლება

მთავრობა ინტერნეტს არ ზღუდავდა, არც ინტერნეტზე წვდომას უშლიდა ხელს და არც ონლაინ-კონტენტის ცენზურას ახდენდა, მაგრამ წუხილის საგნად რჩებოდა უნებართვო თვალთვალი.

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის სტატისტიკის თანახმად, მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი იყენებდა ინტერნეტს. ინტერნეტზე წვდომას მომსახურების მაღალი გადასახადი და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა ხელს უშლის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები და დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანების შემთხვევაში.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ინტერნეტის თავისუფლების შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ არსებობდა.

აკადემიური თავისუფლება და კულტურული ღონისძიებები

საანგარიშო წლის განმავლობაში მთავრობამ ლიცენზია გაუუქმა ერთ და არ განუახლა ორ თურქულ საშუალო სკოლას, რომელსაც თურქეთის მთავრობა ბრალს სდებდა, რომ ისინი გულენის მოძრაობასთან კავშირში იყვნენ. სახალხო დამცველის ოფისმა და არასამთავრობოებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ სკოლების დახურვა პოლიტიკურად მოტივირებული და უკანონო იყო. ხელისუფლებამ სკოლების ქსელის გენერალურ დირექტორ მუსტაფა ემრე ჩაბუქსა და მის ოჯახს თავშესაფრის თხოვნაზე უარი უთხრა მას შემდეგ, რაც მათში ჩაბუქი დააპატიმრეს თურქეთის მთავრობისაგან მიღებული ექსტრადიციის თხოვნის საფუძველზე (იხ. ნაწილი 2. დ.).

თებერვალში მთავრობამ ზღვისპირა ქალაქ ბათუმში, თურქეთის საზღვართან ახლოს, შაჰინის განთქმულ საშუალო სკოლას ლიცენზია გაუუქმა. განათლების სამინისტროს განცხადებით, მან სკოლა იმიტომ დახურა, რომ თურქეთის მოქალაქე ექვსი სტუდენტი სკოლის თურქული ენის პროგრამიდან ქართული ენის პროგრამაზე წესების დარღვევით გადაიყვანეს. 2016 წელს ბათუმში თურქეთის გენერალურმა კონსულმა სკოლა „ტერორიზმის ხელშეწყობაში“ საჯაროდ დაადანაშაულა. სკოლის დირექტორმა და მოსწავლეთა მშობლებმა სამინისტროს გადაწყვეტილება გააპროტესტეს და განაცხადეს, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკურად მოტივირებული იყო. სახალხო დამცველმა მთავრობას მოუწოდა, გადაწყვეტილება კარგად დაესაბუთებინა და განაცხადა, რომ „მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე გავლენა არ უნდა მოახდინოს.“

აგვისტოში განათლების სამინისტრომ განაცხადა, რომ ლიცენზიას არ გაუგრძელებდა თბილისის განთქმულ საშუალო სკოლას, დემირელის კოლეჯს. დემირელი იმავე საგანმანათლებლო ქსელის ნაწილი იყო, რომელსაც შაჰინი ეკუთვნოდა. სამინისტროს განცხადებით, დემირელისათვის ლიცენზიის არგაგრძელება დაკავშირებული იყო სალიცენზიო აპლიკაციაში დაშვებულ შეცდომებთან, რომ სკოლამ შესაბამისი პროცედურებით არ იხელმძღვანელა და ყალბი დოკუმენტები წარადგინა. მოსწავლეთა მშობლებმა მთავრობა დაადანაშაულეს, რომ ის სკოლას თურქეთის მთავრობის მოთხოვნის გამო ხურავდა. ნოემბერში სახალხო დამცველმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას უკანონო უწოდა. მან სამინისტროს ხელახალი შემოწმებისა და ლიცენზიის შეჩერებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისაკენ მოუწოდა. საანგარიშო წლის დასასრულისთვის განათლების სამინისტროს პასუხი ამ განცხადებაზე არ გაუცია.

ბ. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების

კონსტიტუციითა და კანონით მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლება დაცულია. მთავრობა აღნიშნულ უფლებას ყოველთვის ერთნაირად არ იცავდა.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

კონსტიტუცია და კანონმდებლობა ძირითადად უზრუნველყოფს შეკრების თავისუფლებას. ხელისუფლება, როგორც წესი, შეკრების ნებართვებს გასცემდა, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში პოლიცია აპატიმრებდა ან ვერ იცავდა მშვიდობიანი შეკრების მონაწილეებს კონტრდემონსტრანტებისაგან. ამას გარდა, ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა გამოხატეს წუხილი კანონის იმ დებულებათა გამო, რომელიც პოლიტიკური პარტიებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან ითხოვს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას საჯარო ადგილას დაგეგმილი შეკრების შესახებ ინფორმაცია ხუთი დღით ადრე ეცნობოს, რითაც სპონტანური დემონსტრაციები იზღუდება.

აქტივისტებმა განაცხადეს, რომ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი (ლგბტი) საზოგადოების წევრთათვის შეკრების თავისუფლება კვლავ შეზღუდული იყო (იხ.

ნაწილი 6, ძალადობა, დისკრიმინაცია და სხვა დანაშაული სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე).

გაერთიანების თავისუფლება

ვრცელდებოდა ცნობები, რომ მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი და მმართველი პარტიის მხარდამჭერი ზეწოლას ახდენდა პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებსა და მხარდამჭერებზე, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა თანამშრომლებზე, მასწავლებლებსა და პროფკავშირების წევრებზე, მათ შორის თვალთვალთ, სამსახურიდან გათავისუფლებითა და გათავისუფლების მუქარით (იხ. ნაწილი 7). საანგარიშო წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისწინა კამპანიის დროს, ვრცელდებოდა ცნობები ოპოზიციური პარტიების ლიდერების მიმართ ძალადობის, დაშინებისა და შევიწროების შესახებ, აგრეთვე ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა სამსახურებიდან დათხოვნისა ან მათი დათხოვნის მუქარის შესახებ.

გ. რელიგიის თავისუფლების

იხილეთ სახელმწიფო დეპარტამენტის რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო ანგარიში ბმულზე www.state.gov/religiousfreedomreport/.

დ. გადაადგილების თავისუფლების

კანონით მოქალაქეთა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ გადაადგილების, ემიგრაციისა და რეპატრაციის თავისუფლება დაცულია, მაგრამ დე-ფაქტო მთავრობები და რუსეთის საოკუპაციო ძალები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ამ თავისუფლებას ზღუდავდნენ.

მთავრობა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR) და სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა, რათა ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირები (IDP), ლტოლვილები, დაბრუნებული ლტოლვილები, თავშესაფრის მამიებლები, მოქალაქეობის არმქონე პირები და გასაჭირში ჩავარდნილი სხვა მოქალაქეები დაეცვა და დახმარებოდა. თუმცა, სახალხო დამცველის ოფისმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მთავრობას ბრალი დასდეს, რომ ის თავშესაფრის მიცემისას და სხვა თხოვნების განხილვისას პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს იღებდა, რამაც თურქეთისა და აზერბაიჯანის კონკრეტულ მოქალაქეებზე იმოქმედა.

ქვეყნის შიგნით გადაადგილება: აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში შესვლის შეზღუდვა ქვეყნის შიგნით გადაადგილების თავისუფლებას არსებით დაბრკოლებებს უქმნიდა. აფხაზეთიდან და სამხრეთი ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული დაახლოებით 300 000 მოქალაქის უმეტესობას მათი წარმოშობის ადგილებში დაბრუნება სურს, მაგრამ კონფლიქტების პოლიტიკური მოუგვარებლობის პირობებში შესაბამისი უსაფრთხოების გარანტიები არ გააჩნდათ.

უცხოეთის მოქალაქეებისათვის სამხრეთ ოსეთში შესვლა და გამოსვლა შეზღუდული იყო, თუმცა დე-ფაქტო ხელისუფლების ნებართვის შემთხვევაში, მათ აფხაზეთში შესვლა შეეძლოთ. სამხრეთი

ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული საზღვრის გადაკვეთის ნებართვა ერთადერთი დოკუმენტი იყო, რომელიც სამხრეთი ოსეთისა და საქართველოს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთის საშუალებას იძლეოდა.

აფხაზეთის ზოგიერთ მოქალაქეს, რომელთაც ქართული პასპორტები გააჩნდათ, აფხაზეთისა და საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრის გადასაკვეთად რაიონის დე-ფაქტო უშიშროების სამსახურების ნებართვა სჭირდებოდათ. ქართული პასპორტის მქონე მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს მთავრობის კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ადმინისტრაციული სასაზღვრო გამშვები პუნქტის გადაკვეთა იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუ ხელთ ჰქონდათ დე-ფაქტო უშიშროების სამსახურების მიერ დადასტურებული მიწვევის წერილები, რაც აფხაზეთში შესვლის ნებართვას იძლეოდა.

საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კრძალავს სეპარატისტულ რეგიონებში მეზობელი ქვეყნების (ანუ რუსეთის) ტერიტორიებიდან შესვლასა და გამოსვლას.

რუსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებები აფხაზეთში საერთაშორისო ორგანიზაციებს მუშაობის შესაძლებლობას უზღუდავდნენ. რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებები ზღუდავდნენ საერთაშორისო, მათ შორის, ჰუმანიტარული ორგანიზაციების რეგულარულ წვდომას სამხრეთ ოსეთზე. თუმცა, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის თანათავმჯდომარეები გაეროდან, ეუთოდან და სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლობიდან სამხრეთ ოსეთში კვარტალში ერთხელ, დისკუსიების ყოველი მომდევნო რაუნდის წინ ჩადიოდნენ. ამ ვიზიტებისას მათ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი ახლდა. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ცხინვალის ოფისი სამხრეთ ოსეთში მოქმედი ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო.

დე-ფაქტო მთავრობები და რუსეთის შეიარაღებული ძალები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გავლით ადგილობრივი მოქალაქეების გადაადგილებასაც ზღუდავდნენ, თუმცა მოქნილობას იჩენდნენ, როცა მოქალაქეები გადაადგილდებოდნენ სამედიცინო და საპენსიო მომსახურების მისაღებად, რელიგიურ მსახურებაზე დასასწრებად ან განათლებისათვის. სოფლების მაცხოვრებლები, რომლებიც სასაზღვრო ზოლს ან გამშვებ პუნქტებს უახლოვდებოდნენ, დგებოდნენ საფრთხის ქვეშ, რომ მათ რუსეთის ფედერალური სასაზღვრო ძალები დააკავებდა. აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ განთავსებული რუსი მესაზღვრეები, როგორც წესი, დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ შემოღებულ საზღვრის გადაკვეთის წესს იცავდნენ. ისინი დაკავებულ პირებს აჯარიმებდნენ და შემდეგ ათავისუფლებდნენ. სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ რუსეთის მესაზღვრეები ადამიანებს ხშირად დე-ფაქტო ხელისუფლებას გადასცემდნენ. საქართველოს უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით, დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ დაკავება, როგორც წესი, 2-3 დღე გრძელდებოდა, იქამდე, ვიდრე დაკავებული დე-ფაქტო სასამართლოს მიერ დაკისრებულ „ჯარიმას“ არ გადაიხდიდა. „სახელმწიფო საზღვრის დარღვევის“ ზოგიერთი შემთხვევა უფრო ხანგრძლივი პატიმრობით ისჯებოდა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) ინფორმირებული იყო, რომ აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლის გასწვრივ 39, ხოლო სამხრეთი ოსეთის სასაზღვრო ზოლის გასწვრივ 116 მოქალაქე დააკავეს. არსებობდა ადგილობრივი წყაროებით დადასტურებული ცნობები იმის შესახებ, რომ რამდენიმე შემთხვევაში, სამხრეთი ოსეთის „მესაზღვრეები“ მოქალაქეთა დასაკავებლად საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიაზე გადმოვიდნენ. ვრცელდებოდა ცნობები დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მოქალაქეთა თვითნებური დაკავებების შესახებ, განსაკუთრებით სამხრეთი ოსეთის ცხინვალისა და აფხაზეთის გალის რაიონებში. უმეტეს შემთხვევაში, დაკავებულებს „სახელმწიფო საზღვრის“ უკანონო გადაკვეთას ედავებოდნენ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცნობით, ბევრ შემთხვევაში დაკავებულებს რუსულად შედგენილ დოკუმენტებზე აწერინებდნენ ხელს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ ენას არ ფლობდნენ.

დე-ფაქტო ხელისუფლებამ სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ღობეებისა და სხვა ფიზიკური წინაღობების მშენებლობა გააფართოვა. ადმინისტრაციული საზღვარზე რუსულმა „ბორდერიზაციამ“ გადაადგილება კიდევ უფრო შეზღუდა და გაართულა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, წყლის რესურსებთან და სასაფლაოებზე მისვლა.

მარტში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ორი დამატებითი გამშვები პუნქტი დახურა. გახსნილი დარჩა გადასასვლელები ენგურის ხიდსა და საბერიო-ფახულანში. საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიებზე მოხვედრა უფრო შეიზღუდა, ადმინისტრაციული საზღვრის გადაღმა ოჯახებისა და მეგობრების მონახულება გაართულდა. გამშვები პუნქტების დახურვამ გალის ქვედა ზონის მოსახლეობა კიდევ უფრო გააღარიბა და მეტ იზოლაციაში მოაქცია. მეტიც, პუნქტების დახურვამ მოსწავლეებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა, სკოლებში მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლაში შეუშალა ხელი.

აფხაზეთის დე-ფაქტო და საქართველოს მთავრობებმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს ნება დართეს, ენგურის ხიდზე მთავარი გამშვები პუნქტის გავლით შეჭირვებული მოქალაქეებისათვის უფასო ავტობუსი აემუშავებინა. გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს ნება დართეს, კოდორის ხეობის ზედა ნაწილში იზოლირებული ქართული მოსახლეობაც მოენახულებინა. 2009 წლის შემდეგ კოდორის ხეობაში ეს პირველი ამგვარი ვიზიტი იყო.

ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირები

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით, [საანგარიშო წლის] აგვისტოში რეგისტრირებული იყო 1992-93 და 2008 წლების კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული 278,155 მოქალაქე. გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატის მონაცემებით, 167,861 მოქალაქე „იძულებით გადაადგილებული პირის მსგავს“ ვითარებაში იყო, რომელთაგან 60,000 დაცვასა და ჰუმანიტარულ დახმარებას საჭიროებდა. ამ რიცხვში შედიან პირები, რომლებიც აფხაზეთსა და

სამხრეთ ოსეთში დაბრუნდნენ, აგრეთვე ისინი, რომლებიც 2008 წლის კონფლიქტის შედეგად განასახლეს, რომელთაც მიიღეს საცხოვრებელი ან ფულადი კომპენსაცია.

2008 წელს ადგილნაცვალ პირთა უმეტესობამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებული პირის ოფიციალური სტატუსი მიიღო. ზოგიერთ მოქალაქეს 2008 წლის კონფლიქტის შედეგად საცხოვრებელი არ შეუცვლია, მაგრამ ისინი ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლთან ახლოს ცხოვრობდნენ და მათ პირობებს, ოფიციალურად, „იძულებით გადაადგილებული პირთა მდგომარეობის მსგავსი“ ეწოდა. იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრომ პირებს, რომლებიც დევნილებად აღიარეს, ყოველთვიური შემწეობა დაუნიშნა. სამინისტრო ხელს უწყობდა ამ ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას და მათი უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების პირობებს ქმნიდა.

მთავრობამ იძულებით გადაადგილებული 55,732 ოჯახისათვის გრძელვადიანი საცხოვრებლის მოძიება პრიორიტეტად დაასახელა. მან 35, 322 ოჯახს გრძელვადიანი საცხოვრებელი გადასცა. საერთო ჯამში, გრძელვადიანი საცხოვრებელი დევნილთა 39 პროცენტმა მიიღო. 61 პროცენტს, ანუ 53,206 ოჯახს ამგვარი საცხოვრებელი ჯერ კიდევ არ გააჩნდა. მთავრობის კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები დევნილების დაახლოებით 54 პროცენტს არ გააჩნდა საცხოვრებელი, რომელიც საცხოვრებლად ვარგისად ჩაითვლებოდა. ბევრი დანგრევის პირას მყოფ კომუნალურ შენობებში ცხოვრობდა, სადაც ელემენტარული პირობები, მათ შორის, სასმელი წყალი, სათანადო სანიტარია და საკანალიზაციო სისტემა არ გააჩნდათ. ბევრი დევნილი ოჯახი, უმეტესად ისინი, რომლებიც 1990-იანი წლების კონფლიქტს გამოექცნენ, კვლავ სტანდარტთან შეუსაბამო პირობებში ცხოვრობდა და ელემენტარულ პირობებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს იყო მოკლებული.

1994 წელს საქართველოს, რუსეთსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს შორის გაფორმებული შეთანხმების მიუხედავად, რომელიც მხარეებს 1992-93 წლების ომს გაქცეული დევნილების უსაფრთხო და ნებაყოფლობით დაბრუნებისკენ მოუწოდებდა, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება კვლავ ხელს უშლიდა ომის შედეგად დევნილი მოქალაქეების დაბრუნებას. აფხაზეთის ქვედა ზონაში, გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში, 45,000-დან 60,000-მდე მოქალაქე დაბრუნდა, მაგრამ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ სხვა რაიონებში დევნილთა დაბრუნებაზე უარი განაცხადა. დე-ფაქტო ხელისუფლებამ დევნილებს აფხაზეთში არსებული საკუთრების დაბრუნებაზეც უარი უთხრა. უარი ეფუძნებოდა 2008 წელს მიღებულ კანონს, რომელმაც 1992-93 წლებში „მიტოვებული ქონება“ სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა. დევნილებს, რომლებიც ბრუნდებიან, უფლება აქვთ, გაყიდონ, მაგრამ ეკრძალებათ საკუთრების ყიდვა.

2016 წლის დეკემბერში აფხაზეთმა შესწორებები შეიტანა კანონში „უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“. კანონში შეიტანეს მუხლი, რომელიც „უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის ბინადრობის უფლების“ მინიჭებას ითვალისწინებს. აღნიშნული შესწორების მიზანი იყო აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილის სამ რაიონში დაბრუნებული ქართველი დევნილების აფხაზეთის ტერიტორიაზე ხანგრძლივი ვადით ყოფნის მოწესრიგება. 30 მარტს დე-

ფაქტო მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა ბრძანება, რომელიც „უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ბინადრობის უფლების“ გაცემას აწესრიგებს. დოკუმენტი მოქალაქეებს გარკვეულ უფლებებს ანიჭებს, მაგრამ მისმა მიმღებმა უნდა აღიაროს, რომ ის უცხო ქვეყნის მოქალაქეა (ანუ ქართველი, რომელიც აფხაზეთში უცხო ქვეყნის მოქალაქის სტატუსით ცხოვრობს) და დაემორჩილოს მთელ რიგ შეზღუდვებს. „ბინადრობის ნებართვა“ არ ითვალისწინებს პოლიტიკურ და ხმის მიცემის უფლებებს, აგრეთვე უფლებებს საცხოვრებელზე, მიწასა და საკუთრებაზე.

ლტოლვილთა დაცვა

თავშესაფარზე ხელმისაწვდომობა: თებერვალში ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც საერთაშორისო დაცვის მიღების გარანტიას, მათ შორის, თავშესაფრისა და ლტოლვილის სტატუსის მიღების უფლებას იძლევა. ამის მიუხედავად, არასამთავრობოებმა აღნიშნეს, რომ ქვეყნის აღმასრულებელმა და სასამართლო ხელისუფლებებმა თურქეთისა და აზერბაიჯანის რამდენიმე მოქალაქის მიერ თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებები მიიღეს.

კანონი დაცვის სამ ტიპს განსაზღვრავს: ა) ლტოლვილის სტატუსი (1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის შესაბამისად); ბ) დაცული ჰუმანიტარული სტატუსი (შესაფერისი დაცვა); და გ) დროებითი დაცვა. 2016 წელს მთავრობამ ლტოლვილის სტატუსი 48, ხოლო დაცული ჰუმანიტარული სტატუსი 203 პირს მიანიჭა. საანგარიშო წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში მთავრობა თავშესაფრის მაძიებელთა თხოვნების 26 პროცენტს აკმაყოფილებდა.

ივლისში მთავრობამ თავშესაფარზე უარი უთხრა თურქეთის მოქალაქე მუსტაფა ემრე ჩაბუქსა და მის ოჯახს. ჩაბუქი საშუალო სასკოლო განათლების სფეროში მოღვაწეობდა. მისში მთავრობამ ის თურქეთის მთავრობის ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველზე დააპატიმრა, რომელიც მას ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში ადანაშაულებდა. სახალხო დამცველის ოფისმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩაბუქისა და მისი ოჯახის თურქეთში შესაძლო ექსტრადიციის გამო შეშფოთება გამოთქვეს. მათი აზრით, ჩაბუქსა და მის ოჯახს თურქეთში სავარაუდოდ დევნა და წამება ელოდა. ჩაბუქმა მთავრობის უარი თავშესაფრის მიცემაზე, აგრეთვე მისი გახანგრძლივებული წინასაექსტრადიციო პატიმრობა გაასაჩივრა. მთავრობამ მისი ოჯახი ძალადობის მუქარისა და მათი უსაფრთხოების რისკის გამო მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასვა. ნოემბერში თბილისის საქალაქო სასამართლომ მთავრობის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა და ჩაბუქს თავშესაფრის მიცემაზე უარი უთხრა, მისი წინასაექსტრადიციო პატიმრობა კი 2018 წლის თებერვლამდე გააგრძელა.

ნოემბერში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საკითხის თანამომხსენებლებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მთავრობის გადაწყვეტილების ძალაში დატოვებასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც თავშესაფრის თხოვნასა და შესაძლო ექსტრადიციას ეხება, „უნდა დაეფუძნოს მხოლოდ ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებათა კანონმდებლობას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რომლის მოთხოვნები სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.“ განცხადებამ აგრეთვე „ექვქვემ დააყენა წისასასამართლო პატიმრობის გამოყენება თავშესაფრის მაძიებელთა და

ლტოლვილთა წინააღმდეგ, სანამ მათი საქმეების განხილვა გაიმართება და სთხოვა ხელისუფლებას, ამგვარი ზომები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენონ.“

სახალხო დამცველის ოფისმა და ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობოებმა შეშფოთება გამოთქვეს აგრეთვე იმის გამო, რომ მთავრობამ თავშესაფრის, სხვა დაცვითი სტატუსისა და ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე რამდენიმე აზერბაიჯანელ ჟურნალისტსა და აქტივისტსაც უარი უთხრა. არასამთავრობოებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ პირებს აზერბაიჯანში პოლიტიკური ნიშნით დევნიდნენ. არასამთავრობოებმა მთავრობას ბრალი დასდეს, რომ აზერბაიჯანელ აქტივისტებს თავშესაფრისა და ბინადრობის ნებართვაზე უარი უთხრეს იმ პირობებში, როდესაც აზერბაიჯანში მთავრობის აქტივისტებზე ზეწოლა სულ უფრო ძლიერდებოდა. არასამთავრობოების განცხადებით, საქართველოს მთავრობამ თავშესაფარსა და ბინადრობის ნებართვებზე უარი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესით ახსნა, თუმცა მას არც ნათლად დაუსაბუთებია და არც შესაბამისი კანონმდებლობა მოუხმია. მარტში თბილისის სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მთავრობის წინააღმდეგ მიღებული ვერდიქტი გააუქმა და ძალაში დატოვა თავდაპირველი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც აზერბაიჯანის მოქალაქეებს, დაშინ და ორხან აღარლალებს თავშესაფარზე უარი ეთქვათ. დეკემბერში სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ შეისწავლა მთავრობის გადაწყვეტილება აზერბაიჯანის მოქალაქე ლეილა მუსტაფაევასათვის ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ (იხ. ნაწილი 1.დ.) და აღმოაჩინა, რომ მთავრობამ ამ გადაწყვეტილების მიღებისას არა სამართლებრივი ფაქტორებით, არამედ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის არგუმენტებით იხელმძღვანელა.

სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ ზოგიერთ საქმეში მთავრობის კონფიდენციალური მოსაზრებების შესწავლის შემდეგ აღმოაჩინა რამდენიმე დაუსაბუთებელი მაგალითი, როდესაც ეროვნული უსაფრთხოების მოტივით უცხოელებს საქართველოს მოქალაქეობაზე, თავშესაფარზე, ლტოლვილის სტატუსზე ან ბინადრობის ნებართვაზე უარი უთხრეს. სახალხო დამცველის ოფისმა აგრეთვე განაცხადა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა აღნიშნულ საქმეებში არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია სახალხო დამცველის ოფისს არ მიაწოდა, რის გამოც სახალხო დამცველმა სასამართლოს მიმართა. საანგარიშო წლის დასასრულისთვის სასამართლოში საქმის განხილვა დასრულებული არ იყო.

სექტემბრის ანგარიშში სახელწოდებით რეპრესიები საზღვრების მიღმა: დევნილი აზერბაიჯანელები საქართველოში, სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაწერა, რომ ბევრი აზერბაიჯანელი უფლებადამცველი, ჟურნალისტი და დისიდენტი, რომელიც სამშობლოდან დევნას გამოექცა, საქართველოს აღარ მიიჩნევდა თავშესაფრად. მიზეზი წინა წელს მომხდარი რამდენიმე ინციდენტი და მოვლენა იყო. ნოემბერში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საკითხის თანამომხსენებლებმა გამოთქვეს შეშფოთება გავრცელებული ცნობების გამო, რომელიც, სავარაუდოდ, აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირების მხრიდან საქართველოში მცხოვრები ზოგიერთი აზერბაიჯანელისა და თავშესაფრის მაძიებლის შევიწროებას ეხებოდა. თანამომხსენებლებმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდეს, ეს ბრალდებები სრულყოფილად გამოიძიონ და „მტკიცედ და დაუყოვნებლივ“ საქართველოში

აზერბაიჯანელი მოქალაქეების შვეიწროებას, „იმის მიუხედავად, თუ ვინაა მსხვერპლი და ვინ დგას ამგვარ ქმედებათა უკან“.

დასაქმება: თავშესაფრის მაძიებლებს (თავშესაფრის ძიების პროცედურის დასაწყისიდანვე) და პირებს, რომელთაც საერთაშორისო დაცვა ეხებათ, კანონი შრომით ბაზარზე წვდომის უფლებას ანიჭებს. უცხოელებს, მათ შორის საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, შეუძლიათ სახელმწიფო პროგრამა „ვორქნეტში“ დარეგისტრირდნენ, რომელიც პროფესიული განათლებასა და უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება.

საბაზისო მომსახურებათა ხელმისაწვდომობა: მთავრობა პირებს, რომელთაც დაცვითი სტატუსი გააჩნიათ, შეზღუდულ დახმარებას სთავაზობდა. მათში მთავრობამ გახსნა საინტეგრაციო ცენტრი, რათა ამგვარი პირებისათვის სტრუქტურული საინტეგრაციო პროგრამები შეეთავაზებინა. დევნილთა მიმღებ ცენტრს თავშესაფრის მაძიებელთათვის საჭირო სერვისები გააჩნდა. ცენტრში არსებული ადგილების რაოდენობა 60-დან დაახლოებით 150 პირამდე გაიზარდა.

კანონი ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებს საშუალებას აძლევს, თავშესაფრის ძიების მთელი პროცედურის განმავლობაში მიიღონ დროებითი ბინადრობის ნებართვა, აგრეთვე დოკუმენტები, რაც საბანკო ანგარიშის გასახსნელად ან ბიზნესისა და საკუთრების რეგისტრაციისთვისაა საჭირო. ლტოლვილებს ეძლევათ ბინადრობის დროებითი ნებართვა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ უნდა განახლდეს. დაცული ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს აღნიშნული ნებართვა ერთი წლის ვადით ეძლევათ. მისი განახლება შესაძლებელია პოზიტიური შეფასების შემთხვევაში, რომ აღნიშნული სტატუსი პირის დაცვისათვის კვლავ აუცილებელია. განათლების ხელმისაწვდომობა ენობრივი ბარიერის გამო კვლავ პრობლემად რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ლტოლვილებისათვის ქართული ენის გაკვეთილებს აფინანსებდა.

გრძელვადიანი გამოსავალი: 2016 წლის მონაცემებით - უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები 2016 წლით თარიღდება - მთავრობამ ბოლო ხუთ წელიწადში 471 ჩეჩენი ლტოლვილის ნატურალიზაცია მოახდინა. ამას გარდა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, დაახლოებით 200 ჩეჩენი ლტოლვილი ნატურალიზაციის რიგს ელოდა. მათ შორის იყო რამდენიმე მოქალაქე, რომელთაც ნატურალიზაციაზე დროებით უარი ეთქვათ, რადგან კანონით მოთხოვნილი ენისა და ისტორიის ტესტები ვერ ჩააბარეს. იყვნენ სხვებიც, ვისაც ნატურალიზაციაზე უარი, სავარაუდოდ, ეროვნული უსაფრთხოების მოტივებით ეთქვათ,

დროებითი დაცვა: მთავრობამ დროებითი დაცვით უზრუნველყო ის პირები, ვინც ლტოლვილის სტატუსს ვერ აკმაყოფილებს. აგვისტოსათვის, დაცული ჰუმანიტარული სტატუსი 162 პირს მიენიჭა.

მოქალაქეობის არმქონე პირები

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სტატისტიკის თანახმად, აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოში უმაღლესი კომისარიატის მოქალაქეობის არმქონე მანდატით 595 პირი იმყოფებოდა.

კანონი მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსს მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ გაეროს 1954 წლის კონვენციის შესაბამისად განსაზღვრავს და მოქალაქეობის არმქონე პირების კონკრეტულ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს ჩამოთვლის. კანონით განსაზღვრულია, თუ რა გზა უნდა გაიარონ მოქალაქეობის არმქონე პირებმა ნატურალიზაციისაკენ.

კანონით თანახმად, ზრდასრულ პირს შეუძლია, გახდეს მოქალაქე, თუ ის უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობდა; იცის სახელმწიფო ენა; იცნობს ქვეყნის ისტორიასა და კანონებს და შეუძლია შესაბამისი ტესტების ჩაბარება; აქვს სამსახური ან ფლობს უძრავ ქონებას ქვეყნის ტერიტორიაზე, ეწევა ბიზნესს ან ფლობს აქციებს ქართულ კომპანიაში ან წარმოებაში. გამონაკლის შემთხვევებში, პრეზიდენტს უფლება აქვს მოქალაქეობა მიანიჭოს პირს, რომელის ჩამოთვლილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ნაწილი 3. პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის თავისუფლება

კონსტიტუცია და კანონმდებლობა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ მთავრობა პერიოდულად გამართულ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში ფარული კენჭისყრით, ხმის მიცემის საყოველთაო და თანასწორი უფლების საფუძველზე.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესი, რაც ინტენსიური ეროვნული დებატების საგანი გახდა. სექტემბერში, ადგილობრივი არასამთავრობოებისა და საერთაშორისო საზოგადოების მოწოდების მიუხედავად, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ფართო კონსენსუსის მიღწევას, პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებები მხოლოდ მმართველი პარტიის ხმებით. შესწორებები, რომლის თანახმად გადაიღო ცვლილებები ქვეყნის საპარლამენტო საარჩევნო სისტემაში და გაუქმდა პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები, განსაკუთრებით საკამათო იყო. კანონის ძალით დემოკრატიის დაცვის ევროპულმა კომისიამ („ვენეციის კომისია“) ცვლილებები ქვეყნის პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნისაკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯად შეაფასა, მაგრამ გამოთქვა წუხილი, რომ მმართველმა პარტიამ არსებითი მოლაპარაკებების გზით კონსენსუსს ვერ მიაღწია. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოთქვეს წუხილი, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი მმართველი პარტიის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციას უწყობდა ხელს და ხელისუფლებას ერთპარტიული მმართველობის საფრთხის შესახებ მიანიშნეს. არასამთავრობოებმა და სახალხო დამცველის ოფისმა საკონსტიტუციო ცვლილებების შემუშავებისა და მიღების პროცესი გააკრიტიკეს და თქვეს, რომ ის მეტისმეტად სწრაფად წარიმართა იმ ფონზე, რომ განხილვის საგანი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში ფუნდამენტური ცვლილებები იყო. მათ აგრეთვე გააკრიტიკეს მმართველი პარტია იმის გამო, რომ მან ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო

საზოგადოების მოსაზრებები არ გაითვალისწინა. საანგარიშო წლის ბოლოს ვენეციის კომისიის მიერ რეკომენდებული დამატებითი საკონსტიტუციო ცვლილებები საპარლამენტო კენჭისყრას ელოდა.

არჩევნები და პოლიტიკაში მონაწილეობა

უკანასკნელი არჩევნები: 2016 წელს ქვეყანამ საპარლამენტო არჩევნების ორი ტური ჩაატარა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) სადამკვირვებლო მისიამ არჩევნებს უწოდა „კონკურენტული და იმგვარად ადმინისტრირებული, რომ კანდიდატთა და ამომრჩეველთა უფლებები პატივცემული ყოფილიყო“. მაგრამ მისიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ღია საარჩევნო ატმოსფეროზე გავლენა იქონია ბრალდებებმა „კანონსაწინააღმდეგო საარჩევნო კამპანიისა და ძალადობის ზოგიერთი ინციდენტის“ შესახებ. არჩევნების დამკვირვებლებმა, მათ შორის სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, რომელმაც ხმები პარალელურად დაითვალა და ოფიციალური შედეგების თანმხვედრი შედეგები მიიღო, გამოთქვეს წუხილი ზოგიერთი საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციასთან, მიუკერძოებლობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებით. არასამთავრობოებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს პოლიტიკურად მოტივირებული დაშინებების შესახებ მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის განცხადების თანახმად, პირველ და მეორე ტურებს შორის საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა შესუსტდა, რადგან საარჩევნო კომისიები და სასამართლოები ხშირად პატივს არ სცემდნენ გამჭვირვალობის პრინციპსა და ქმედითი გასაჩივრების უფლებას.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიის შემაჯამებელ განცხადებაში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები დახასიათებულია როგორც ქმედითად ადმინისტრირებული და გამჭვირვალე. განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ არსებულმა საკანონმდებლო ბაზამ დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად მტკიცე საფუძველი შექმნა. ნაკლოვანებებს შორის დასახელდა ბრალდებები საარჩევნო კამპანიისას პოლიტიკური ზეწოლის შესახებ, მათ შორის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებზე ადგილობრივ თვითმმართველობებში; დასახელდა აგრეთვე საარჩევნო კოდექსის დებულებათა ბუნდოვანი და არათანაბარი გამოყენება, საარჩევნო კამპანიის ფინანსებზე არასაკმარისი მონიტორინგი.

2017 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ქვეყანამ ადგილობრივი არჩევნების ორი ტური ჩაატარა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიამ განაცხადა, რომ არჩევნებზე, ზოგადად, დაცული იყო ფუნდამენტური თავისუფლებები და რომ კანდიდატებმა საარჩევნო კამპანიები თავისუფლად ჩაატარეს, თუმცა აგრეთვე აღნიშნა, რომ პირველ და მეორე ტურებს შორის „პროცედურული ან სხვა ფორმალური მიზეზებით დიდი რაოდენობის საჩივრების განხილვაზე უარის თქმამ დააზარალა კანდიდატებისა და ამომრჩეველთა უფლება ქმედით გასაჩივრებაზე, დააზარალა საზოგადოების ნდობა დავების გადაჭრის გზების მიმართ.“ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა

ოფისის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მთელ საარჩევნო პროცესს ფონად გასდევდა მმართველი პარტიის დომინირება, რომ იყო ამომრჩევლებსა და კანდიდატებზე ზეწოლის შემთხვევები, აგრეთვე ძალადობრივი ინციდენტები. სექტემბერში მმართველი პარტიის კანდიდატი ფიზიკურად გაუსწორდა უმცირესობის კანდიდატს. ოქტომბერში, თბილისის მერიის წინ, უმცირესობის პარტიის დემონსტრაცია ძალადობაში გადაიზარდა. ამას გარდა, ქართული ოცნების მუნიციპალურ ოფისს ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს, რასაც ოთხი პირის, მათ შორის უმრავლესობის კანდიდატის დაშავება მოჰყვა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დამკვირვებლებმა აგრეთვე აღნიშნეს საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე ზეწოლის შემთხვევები, რათა მათ ადგილობრივ არჩევნებში მმართველი პარტიისათვის დაეჭირათ მხარი; შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება ხდებოდა; არათანაბარი ველი საარჩევნოდ ფინანსების შემწირველთათვის და ხმის მიცემის კონტროლი.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) განაცხადა, რომ ადგილობრივი არჩევნები უმეტესად შეესაბამებოდა საეთაშორისო სტანდარტს, მაგრამ აღნიშნა, რომ „პირველი ტურის შემდგომმა პერიოდმა, განსაკუთრებით საჩივრებზე რეაგირებამ, ცხადყო საკანონმდებლო ბაზის შემდგომი დახვეწის აუცილებლობა, აგრეთვე ფართო დიალოგის საჭიროება საარჩევნო პროცესის მიმართ უნდობლობის თემაზე.“ ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა აგრეთვე განაცხადა, რომ ბრალდებები ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების, ამომრჩეველსა და კანდიდატებზე ზეწოლისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესის შესახებ პრობლემად რჩებოდა.

პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკაში მონაწილეობა: 21 ივლისს, ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა წინასაარჩევნო დელეგაციის განცხადება გაავრცელა. განცხადებაში განხილული იყო ზოგიერთი პრობლემა, მათ შორის, „კანონის არათანაბარი და პოლიტიკური მოტივით გამოყენება“; პარტიებისა და კანდიდატებისათვის თანაბარი სათამაშო ველის არქონა; დაფინანსების პოტენციურ წყაროებზე ზეწოლა; საკანონმდებლო და საკონსტიტუციო რეფორმები, რომელთა ამოცანა მმართველი პარტიისათვის პოლიტიკური სარგებლის მოტანა იყო; ალტერნატიული მოსაზრებებისათვის მედიაგარემოს შეზღუდვა და სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენება, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩარევის გზით. ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა 4 დეკემბერს, არჩევნების შემდგომ განცხადებაში ისაუბრა პოლიტიკური ნების საჭიროებაზე ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად, როგორცაა პარტიების „რესურსების, ხილულობისა და შესაძლებლობათა უთანაბრობა; სახელმწიფო რესურსებისა და საჯარო მოსამსახურეების სავარაუდო ბოროტი გამოყენება ერთი პარტიის სასარგებლოდ; გავრცელებული ცნობები ამომრჩეველთა და კანდიდატებზე ზეწოლის შესახებ; ცენტრალური საარჩევნო კომისიის მსგავსი დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის შემცირება.“

ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განაცხადა არჩევნებისწინა ოთხი კვირის განმავლობაში მუქარისა და შევიწროების 23 შემთხვევაზე, უმეტესად ოპოზიციის ან

დამოუკიდებელი კანდიდატებისა და მათი მომხრეების, აგრეთვე საჯარო მოსამსახურეებისა და მასწავლებლების წინააღმდეგ.

პოლიტიკური ძალადობისათვის, მათ შორის, 2016 წლის მაისში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელის საარჩევნო უბანზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის არაერთი წამყვანი პოლიტიკოსისა და აქტივისტის ცემისათვის, პასუხისმგებლობა პრობლემად რჩებოდა. ინციდენტი ადგილობრივ თვითმმართველობაში ადგილის დასაკავებლად შუალედური არჩევნებისას მოხდა. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ თავდასხმის ორგანიზებაში ქართული ოცნების საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე დაადანაშაულა. ქართულმა ოცნებამ განაცხადა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მისი მომხრეების პროვოცირება მოახდინა. 2016 წლის ივნისში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინციდენტის მონაწილე ექვსი პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სასამართლო 2016 წლის დეკემბერში დაიწყო, მაგრამ 2017 წლის დეკემბრისათვის ის დასრულებული ჯერ არ იყო.

ქალთა და უმცირესობათა მონაწილეობა: ქალთა და უმცირესობათა წარმომადგენლების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას არცერთი კანონი არ ზღუდავს. ქალები და უმცირესობები პროცესებში მართლაც ჩართულნი იყვნენ.

2014 წელს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ეთნიკურ ქართველებს აფხაზეთის „მოქალაქეობა“ ჩამოართვა, რითაც არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მოუსპო. ეთნიკურმა ქართველებმა, რომლებმაც აფხაზეთი პასპორტების მისაღებად განცხადებები დაწერეს, მეტისმეტად გაჭიანურებული პროცესის გამო საბუთები დროულად ვერ მიიღეს, რათა არჩევნებში ხმის უფლებით ესარგებლათ. ეთნიკურ ქართველებს სამხრეთ ოსეთშიც სამხრეთოსური „პასპორტისა“ და „მოქალაქეობის“ მიღებას თხოვდნენ, თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა სურდათ.

ნაწილი 4. კორუფცია და გაუმჭვირვალობა მთავრობაში

კანონის თანახმად, კორუფციაში მსჯავრდებულ საჯარო მოხელეებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მთავრობა დაბალ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ კანონს ქმედითად ასრულებდა, მაგრამ არასამთავრობოების თქმით, შემოწმებისა და გაწონასწორების სუსტი მექანიზმები, აგრეთვე სამართალდამცველი უწყებების დამოუკიდებლობის ნაკლებობა იმ ფაქტორებს შორის იყო, რომელიც მაღალ დონეზე კორუფციას უწყობდა ხელს. ქმედითი მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს კუთვნილ საწარმოებში და დამოუკიდებელ მარეგულირებელ უწყებებში კორუფციას აღკვეთდა, არ არსებობდა.

9 დეკემბერს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ კორუფციას „სერიოზული პრობლემა“ უწოდა, თუმცა აღნიშნა, რომ დაბალ დონეზე კორუფციის შემთხვევები უკიდურესად იშვიათი იყო. ორგანიზაციამ კორუფციასთან საბრძოლველად რამდენიმე რეკომენდაცია შეიმუშავა, მათ შორის საპარლამენტო და სასამართლო ზედამხედველობის გაძლიერება; იმგვარი საარჩევნო გარემოს შექმნა, რომელიც უფრო მეტად უწყობს ხელს პოლიტიკურ პლურალიზმს;

წამყვანი საზედამხედველო უწყებების, მაგალითად სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და მთავარი პროკურატურის დამოუკიდებლობის პატივისცემა; ანტიკორუფციული კანონმდებლობის ქმედითი აღსრულება; დამოუკიდებელი, დეპოლიტიზებული, პროფესიული სამოქალაქო სამსახურის შესაქმნელად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა; ინფორმაციის თავისუფლების უფრო ძლიერი კანონის შემუშავება.

კორუფცია: აგვისტოში სასამართლოებმა სასჯელი მიუსაჯეს ორ მუნიციპალურ მოხელეს იმ ბრალდებების საფუძველზე, რომელიც მათ მთავარი პროკურატურის ანტი-კორუფციულმა დეპარტამენტმა წაუყენა. მერიის თანამშრომლებს სასჯელები შეეფარდათ მიწის გაყიდვის თაღლითური სქემისათვის, რომელიც ბიუჯეტის კუთვნილ 38,000 დოლარის მითვისებას ისახავდა მიზნად.

ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროება: კანონი საჯარო მოხელეებს ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციების შევსებას ავალეს, რომელშიც მათი შემოსავალი და ქონების გადასახადი უნდა აისახოს. აღნიშნული დეკლარაციები ინტერნეტში ქვეყნდება. დეკლარაციების გადამოწმება არ ხდებოდა. ფინანსურ დეკლარაციებს დეკლარაციების ბიურო იბარებს.

ნაწილი 5. მთავრობის დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევებზე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციათა გამოძიებების მიმართ

ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები უმეტეს შემთხვევაში მთავრობისაგან შეუზღუდავად მუშაობდნენ და დარღვევების შესახებ ანგარიშებს აქვეყნებდნენ. ამავე დროს, ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მთავრობა, სასამართლო, პოლიტიკური ოპოზიცია ან ოპოზიციასთან დაკავშირებული მედიასაშუალებები მათ საჯარო დისკრედიტაციას ცდილობდნენ. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამოითქვა წუხილი, რომ მთავრობის მოქმედი და ყოფილი მოხელეების უარყოფითი კომენტარები არასამთავრობოთა და სახალხო დამცველის ოფისის ქმედებათა შესახებ, შესაძლოა, ნეგატიურად ასახულიყო დემოკრატიულ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობის მიმართ მთავრობის მოხელეთა და პოლიტიკოსთა დამოკიდებულებაზე. არასამთავრობოები წუხდნენ და აკრიტიკებდნენ წარმოდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებებს, წუხდნენ ადგილობრივი არჩევნების წინა პერიოდში ღია პოლიტიკური დიალოგისათვის აუცილებელი სივრცის შევიწროვების გამო, აკრიტიკებდნენ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის წესს, აგრეთვე ქვეყნის მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში წარდგენილ სამ კანდიდატს. შედეგად, ხელისუფლებასა და უფლებადამცველ არასამთავრობოებს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

მმართველი პარტიის გავლენიანი მოხელეები მთელი წლის განმავლობაში ზეწოლას ახორციელებდნენ და აკრიტიკებდნენ სახალხო დამცველს. ვითარებამ კულმინაციას ნოემბერში მიაღწია, როდესაც სახალხო დამცველი აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებათა მაღალჩინოსნებისაგან საჯარო სიტყვიერი თავდასხმების ობიექტი გახდა.

არასამთავრობოებმა და ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ დაგმო თავდასხმები და მას „მიუღებელი“ უწოდა, მთავრობას კი მოუწოდა, თავი შეეკავებინა ისეთი განცხადებებისაგან, რომელიც სახალხო დამცველისა და მისი უწყების რეპუტაციას დააზიანებდა.

გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები: სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული ვითარების შესახებ მწირი ოფიციალური ინფორმაცია არსებობდა, რადგან ამ რეგიონებში შესვლა შეზღუდული იყო. ამის მიუხედავად, კვლავ ვრცელდებოდა ბრალდებები უფლებათა დარღვევების შესახებ. მარტში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლისა და საერთაშორისო და რეგიონული უფლებადამცველი ორგანიზაციების რეგიონებში დაუყოვნებელი შეშვებისაკენ მოუწოდებდა. ივნისში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა განაცხადა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო მთავრობებისაგან მათი თხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. გამოითქვა წუხილი, რომ 2011 წლის შემდეგ არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მთავრობები საერთაშორისო ორგანიზაციებს მათ ტერიტორიებზე შესვლის უფლებას არ აძლევდნენ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა განაცხადა, რომ ამგვარი აკრძალვა აჩენდა ლეგიტიმურ კითხვებსა და წუხილს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მაცხოვრებლების უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

ადამიანის უფლებადამცველი სამთავრობო უწყებები: არასამთავრობოების შეფასებით, სახალხო დამცველის ოფისი, რომელსაც ადამიანის უფლებათა მონიტორინგისა და მათი დარღვევისა და დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტების გამოძიების მანდატი გააჩნია, ადამიანის უფლებადამცველ სამთავრობო უწყებებს შორის ყველაზე ობიექტური იყო. მმართველი პარტიის საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტი (იხ. ნაწილი 3) სახალხო დამცველის მუშაობის ერთ, ექვსწლიან ვადამდე შეზღუდვას ითვალისწინებს. ცვლილებები ძალაში 2018 წელს, მომდევნო საპრეზიდენტო ინაუგურაციის შემდეგ უნდა შევიდეს. ნოემბერში პარლამენტმა ახალი სახალხო დამცველი ხუთი წლის ვადით აირჩია მას შემდეგ, რაც მოქმედ სახალხო დამცველს ვადა ამოეწურა.

სახალხო დამცველის უფლებამოსილებაში გამოძიების დაწყება ან სხვა სამართლებრივი ზომების მიღება არ შედის, მაგრამ მას რეკომენდაციის გაცემა შეუძლია და მთავრობა ვალდებულია, უპასუხოს. სახალხო დამცველის ოფისი, საერთო ჯამში, მთავრობის ჩაურევლად მოქმედებდა და მისი მუშაობა ქმედითად იყო მიჩნეული. ამის მიუხედავად, სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ მთავრობა მის შეკითხვებსა და რეკომენდაციებს ხშირად ნაწილობრივ ან საერთოდ არ პასუხობდა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას პასუხის გასაცემად 20 დღის ვადა აქვს დადგენილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა განყოფილებასა და მთავარ პროკურატურას აგრეთვე გააჩნიათ ადამიანის უფლებათა დარღვევისა და დისკრიმინაციის შემთხვევების მონიტორინგისა და გამოძიების მანდატი. ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დაფარვის მიზნით შეიქმნა, აგრეთვე უსაფრთხოების უწყებები საქართველოს, რუსეთისა და სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო მთავრობებიდან ხშირად იხილავდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ დაფიქსირებულ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს.

სახალხო დამცველს გააჩნია უფლება, სამართალდამცველ უწყებებს ადამიანის უფლებების დარღვევის კონკრეტულ შემთხვევებში გამოძიების დაწყების რეკომენდაცია მისცეს, თუმცა მისი რეკომენდაცია შესასრულებლად არასავალდებულოა. სახალხო დამცველი ვალდებულია, ქვეყანაში ადამიანის უფლებების შესახებ ყოველწლიური ანგარიში წარადგინოს. მას აგრეთვე პერიოდული ანგარიშების წარდგენაც შეუძლია. სახალხო დამცველის ოფისმა ანგარიშში, შესაძლოა, არ ასახოს სავარაუდო წამების შემთხვევა, თუ წამების მსხვერპლის თანხმობა არ გააჩნია ან მისი ოფისის წარმომადგენელი არ შეესწრება წამების ფაქტს. დე-ფაქტო ხელისუფლებათა წარმომადგენლები სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ უშვებდნენ.

კანონის თანახმად, მთავარ პროკურორს ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვა ევალება. მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა განყოფილება სამართლებრივი დევნის მონიტორინგს აწარმოებდა და ზედამხედველობას უწევდა პროკურატურის საქმიანობის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. განყოფილება პროკურატურის სისტემაში სტატისტიკასა და ანალიტიკას სწავლობს და ვალდებულია, ეროვნული და საერთაშორისო უფლებადამცველი ინსტიტუტების რეკომენდაციები მოისმინოს და პასუხი გასცეს.

ნაწილი 6. დისკრიმინაცია, სოციალური ძალადობა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ქალები

გაუპატიურება და ოჯახში ძალადობა: გაუპატიურება უკანონოა, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსი მეუღლის მიერ გაუპატიურების შემთხვევას ცალკე არ განიხილავს. პირველი ასეთი დანაშაულისათვის დამნაშავე, შესაძლოა, შვიდ წლამდე ვადით დააპატიმრონ. სექტემბრის მდგომარეობით, პროკურატურას გაუპატიურების შვიდი საქმე ჰქონდა აღძრული. მთავრობა კანონს ქმედითად აღასრულებდა.

ოჯახში ძალადობის საქმეებში, რომელსაც არ ახლავს ტრავმა, დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, პირს, შესაძლოა, 80-150 საათის საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობა ან ერთ წლამდე პატიმრობა მიესაჯოს.

ქალთა მიმართ ოჯახში და სხვა სახის ძალადობა მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, [საანგარიშო წლის განმავლობაში] ოჯახში ძალადობის შედეგად 12 ქალი გარდაიცვალა. არასამთავრობოთა ცნობით, სამართალდამცველები და თბილისის პროკურორები ოჯახში ძალადობის შემთხვევებს მეტი პროფესიონალიზმით იძიებდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დეკემბრის მდგომარეობით, ოჯახში ძალადობის ფაქტზე 2,248 საქმე იყო აღძრული.

არასამთავრობოთა ინფორმაციით, იყო შემთხვევები, როდესაც სამართალდამცველებმა გაუპატიურებისა და ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ სათანადო ზომები არ მიიღეს,

აგრეთვე დანაშაულს გადარჩენილ პირებს მსხვერპლის სტატუსი არ მიანიჭეს. სახალხო დამცველის განცხადებით, ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ზოგადად, ქალთა უფლებების შესახებ საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა ერთ-ერთი მიზეზი იყო, რის გამოც მსხვერპლი ხელისუფლებისაგან დახმარებას არ ითხოვდა.

სახალხო დამცველის ოფისმა ქალთა მკვლევლობების მაღალი მაჩვენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების არასათანადო მონიტორინგსა და რისკების შეფასების გაუმართავ სისტემას დააბრალა. ოფისმა მთავრობას მოუწოდა, შექმნას ქმედითი სისტემა, რომელიც ფემიციდის შემთხვევებს აღრიცხავს და შეისწავლის.

კანონები ოჯახში ძალადობის შესახებ დაცვის დროებით ღონისძიებებს ითვალისწინებს, მათ შორის თავშესაფარსა და შემაკავებელ ორდერს, რომელიც მოძალადეს მსხვერპლთან 100 მეტრზე მეტად მიახლოებას, აგრეთვე ექვსი თვის განმავლობაში საერთო საკუთრებით, მათ შორის, საცხოვრებლითა და მანქანით სარგებლობას უკრძალავს. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, ძალადობის მსხვერპლი ქალები აცხადებდნენ, რომ შემაკავებელი ორდერის დარღვევის შემთხვევებისას სამართალდამცველებისაგან ხშირად არაადეკვატურ პასუხებს იღებდნენ.

ადგილობრივი არასამთავრობოები და მთავრობა ერთობლივად ამუშავებდნენ 24-საათიან ცხელ ხაზს და თავშესაფრებს ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მათი მცირეწლოვანი შვილებისათვის. თავშესაფრებში ადგილების რაოდენობა შეზღუდული იყო. ამას გარდა, ქვეყნის 10 რეგიონიდან თავშესაფარი მხოლოდ ოთხს გააჩნდა.

სხვა საზიანო ტრადიციების პრაქტიკა: ქორწინებისათვის ქალთა მოტაცების შემთხვევები ქვეყნის შორეულ ადგილებში და ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რაიონებში ხდებოდა, მაგრამ შემთხვევები ძალიან იშვიათი იყო. მსგავსი ფაქტებისას პოლიცია იშვიათად მიმართავდა ზომებს, რადგან როგორც წესი, რთული გასარჩევი იყო, გატაცებასთან ჰქონდათ საქმე, თუ წყვილის მშობლების ნებართვის გარეშე „გაპარვასთან.“

სექსუალური შევიწროება: სამუშაო ადგილებში სექსუალური შევიწროება პრობლემა იყო. კანონი შევიწროების ზოგად განმარტებას იძლევა, მაგრამ ამ დანაშაულისათვის სამართლებრივი სანქცია გათვალისწინებული არ არის. სახალხო დამცველის ცნობით, 2016 წლის განმავლობაში მან სექსუალური შევიწროების შესახებ სამი საჩივარი მიიღო. სამივე შემთხვევაში, მსხვერპლს სასამართლოში წასვლა არ სურდა. მთავრობის ინიციატივით, საჯარო მოხელეებს პრობლემის შესახებ ინფორმირების მიზნით სექსუალური შევიწროების შესახებ სწავლება ჩაუტარდათ.

პოპულაციის ძალდატანებითი კონტროლის: ინფორმაცია ძალდატანებითი აბორტის, არანებაყოფლობითი სტერილიზაციის ან პოპულაციის კონტროლის სხვა ძალდატანებითი მეთოდების შესახებ არ გავრცელებულა. მონაცემები დედათა სიკვდილიანობისა და კონტრაცეპტიული საშუალებების მოხმარების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: www.who.int/reproductivehealth/publications/monitoring/maternal-mortality2015/en/.

დისკრიმინაცია: ქალთა და მამაკაცთა თანაბარი სამართლებრივი სტატუსი და უფლებები ყოველთვის დაცული არ იყო. იყო ცნობები დასაქმების სფეროში ქალთა დისკრიმინაციის შესახებ.

კანონი ითვალისწინებს პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნას, ქალთა უსაფრთხოების ხელშეწყობას და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაძლიერებას. კანონი ამბობს, რომ მთავრობამ სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შედგენისას გენდერული ასპექტები უნდა გაითვალისწინოს. მარტში პარლამენტმა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული რეფორმების შესახებ სამოქმედო გეგმა მიიღო. გენდერული თანასწორობის საქმეთა მონიტორინგს სახალხო დამცველის ოფისი ახორციელებდა.

ბავშვები

დაბადების რეგისტრაცია: კანონის თანახმად, მოქალაქეობის საფუძველია მშობლების მოქალაქეობა ბავშვის დაბადებისას ან ბავშვის დაბადება ქვეყნის ტერიტორიაზე. კანონი მოქალაქეობის არმქონე პირების შვილებზეც ვრცელდება. გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მონაცემებით, ბავშვთა 99 პროცენტის დაბადების რეგისტრაცია ხუთი წლის ასაკამდე ხდებოდა.

2015 წელს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა აღნიშნა, რომ აფხაზეთში საბუთებთან დაკავშირებული პრობლემები ღრმავდებოდა. კომისარიატის ცნობით, გალის რაიონის მაცხოვრებელთაგან სულ უფრო ნაკლები პირი ფლობდა პირადობის დამადასტურებელ მოქმედ საბუთს. მიზეზი ის იყო, რომ დე-ფაქტო ხელისუფლება ვადაგასულ საბუთებს არ ანახლებდა. კომისარიატის ინფორმაციით, 2013 წლის შემდეგ გალის რაიონში დაბრუნებულ ოჯახებში 400-ზე მეტ დაბადებულ ბავშვს დაბადების მოწმობა არ მისცეს, რადგან მათ მშობლებს რეგისტრაციისთვის აუცილებელი მოქმედი საბუთები არ გააჩნდათ.

განათლება: ხშირად მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილები სკოლაში რეგისტრაციისთვის საჭირო საბუთებს არ ფლობდნენ. სკოლებში ხელმოკლე და მარგინალურ ჯგუფებს მიკუთვნებული ბავშვების, მაგალითად, ქუჩის, შეზღუდული შესაძლებლობის და მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასწრება დაბალი იყო. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობა, გულგრილობა და სხვა ფორმის არასათანადო მოპყრობა კვლავ მწვავედ იდგა.

ბავშვთა უფლებების დარღვევა: შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დეკემბრის მდგომარეობით, ბავშვთა წინააღმდეგ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულისათვის მთავრობამ 460 საქმე აღძრა.

ხელისუფლებამ ბავშვები, რომელთა უფლებებიც დაირღვა, საქმეში ჩართულ სხვა მხარეებთან, მათ შორის, პოლიციასთან, სკოლებთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შეთანხმებით, შესაბამის სათემო და სახელმწიფო სამსახურებში გადაამისამართა.

ადრეული და ძალდატანებითი ქორწინება: კანონის თანახმად, მამაკაცებისა და ქალებისათვის ქორწინებისათვის აუცილებელი მინიმალური ასაკი 18 წელია. 18 წლამდე მოზარდზე ძალდატანებითი ქორწინება ორიდან ოთხ წლამდე პატიმრობით ისჯება. სექტემბრის მდგომარეობით, სახალხო დამცველი სავარაუდოდ ადრეული ქორწინების 22 საქმეს სწავლობდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვს საქმეზე გამოძიება ჰქონდა დაწყებული. ცნობები არასრულწლოვანთა ქორწინების შესახებ მთელი წლის განმავლობაში ვრცელდებოდა, თუმცა

ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობდა. როგორც ამბობენ, არასრულწლოვანთა ქორწინებები უფრო ხშირად გარკვეული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ხდებოდა.

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია: კომერციული მიზნით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გავრცელებული ინფორმაციით, ქუჩისა და ობოლთა თავშესაფრის ბავშვები ექსპლუატაციის მიმართ ყველაზე დაუცველნი იყვნენ.

მხარეთა თანხმობით სექსუალური ურთიერთობის მინიმალური ასაკი 16 წელია. კანონის თანახმად, 16 წლამდე მოზარდთან სექსუალური ურთიერთობა გაუპატიურებაა, თუ ექვიმტანილისათვის სექსუალური ურთიერთობის დამყარებისას მსხვერპლის ასაკი ცნობილი იყო. ასეთი დანაშაული სასჯელი ცხრა წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მთავრობა კანონს, როგორც წესი, ასრულებდა. სხვა სექსუალური ხასიათის დანაშაულისათვის არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში უფრო მკაცრი სასჯელები იყო გათვალისწინებული.

ადგილნაცვალი ბავშვები: ქუჩის ბავშვების პრობლემას რთული ეკონომიკური პირობები განაპირობებდა. უცნობია, ამ ბავშვებს შორის რამდენი იყო გეოგრაფიულად ადგილნაცვალი პირი. სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ ქუჩის ბავშვების შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნდა, და აღნიშნა, თუ რა არაადეკვატური იყო რესურსები, რომელიც ამ ბავშვების დასახმარებლად იყო მიმართული.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს ცნობით, მობილურმა ჯგუფებმა ურთიერთობა დაამყარეს ქუჩაში მომუშავე ან მცხოვრებ 908 ბავშვთან. ივლისის მდგომარეობით, მათგან 204 დღის საბავშვო დაწესებულებებში იყო ჩარიცხული, 24 - თავშესაფარში გადაყვანილი, 73 - საგანმანათლებლო სისტემაში ჩარიცხული, ხოლო 110-სთვის - გაიცა პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

ინსტიტუციონალიზებული ბავშვები: მთავრობა განაგრძობდა დიდი ზომის ბავშვთა სახლების დახურვას და მათ ჩანაცვლებას უფრო მცირე ზომის ოჯახური ტიპის სახლებით, სადაც ბავშვებზე დედობილები და მამობილები ზრუნავდნენ. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 302 ბავშვი 46 სახლში, 1,440 ბავშვი კი სხვა ტიპის მზრუნველობის ქვეშ მოათავსეს. მთავრობა ინსტიტუციონალიზებული და ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის უმაღლესი განათლების მისაღებად გრანტებს აფინანსებდა. გრანტი სწავლის საფასურსა და სტიპენდიას ფარავდა. ამას გარდა, მთავრობა გადაუდებელი დახმარებით უზრუნველყოფდა იმ ოჯახებს, სადაც მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვები ცხოვრობდნენ.

გაეროს ბავშვთა ფონდი და საერთაშორისო განვითარების სააგენტოები დახმარებას უწევდნენ მთავრობას, რომელიც მწვავე შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისათვის მცირე ზომის დაწესებულებების შექმნაზე მუშაობდა, რათა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი დახურულიყო.

ბავშვთა საერთაშორისო გატაცებები: ქვეყანა "ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" 1980 წლის ჰააგის კონვენციის მონაწილე მხარეა. იხ. სახელმწიფო

დეპარტამენტის მიერ მომზადებული ბავშვთა საერთაშორისო გატაცების წლიური ანგარიში ბმულზე travel.state.gov/content/childabduction/en/legal/compliance.html.

ანტისემიტიზმი

დამკვირვებელთა შეფასებით, საქართველოში ებრაელთა თემი 6,000 ადამიანს არ აღემატება. არ ყოფილა დადასტურებული ცნობები ანტისემიტური ქმედებების შესახებ.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

იხ. სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ბმულზე www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/.

შეზღუდული შესაძლებლობის პირები

კონსტიტუცია და კანონმდებლობა კრძალავს ფიზიკური, სენსორული აღქმის, ინტელექტუალური ან ფსიქიკური მიზეზით შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დისკრიმინაციას სამსახურის, განათლების, ტრანსპორტით მგზავრობის, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების ან სხვა სახის სამთავრობო ან კერძო სექტორის მომსახურების თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, მთავრობა ამ დებულებებს ქმედითად ვერ ასრულებდა. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, შეზღუდული შესაძლებლობების პირები საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილად მონაწილეობის გზაზე კვლავ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ. ბევრი ოჯახი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობების შვილი ჰყავდა, თავს სტიგმატიზებულად მიიჩნევდა და შვილებს საზოგადოებას არიდებდა. დისკრიმინაცია დასაქმებისას აგრეთვე პრობლემა იყო.

კანონმდებლობა მოითხოვს, რომ შენობები შეზღუდულ შესაძლებლობათა პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ჯარიმებს ითვალისწინებს. თუმცა, საჯარო დაწესებულებათა და შენობათა ძალიან მცირე ნაწილი იყო ხელმისაწვდომი. საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტი, როგორც წესი, შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის მოწყობილი არ იყო. ტროტუარები და ქუჩის გადაკვეთის წერტილებიც მოუწყობელი იყო.

სახალხო დამცველის ოფისმა განაცხადა, რომ ინკლუზიური განათლება უმთავრეს გამოწვევად რჩებოდა. პროფესიულ და საერთო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური სწავლების დანერგვის მიუხედავად, სკოლამდელი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ინკლუზიური სისტემის მიღმა რჩებოდა. 2016 წელს, თბილისში, სახალხო დამცველის ოფისის მიერ შესწავლილი 165 სკოლამდელი დაწესებულებიდან შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისათვის მხოლოდ რამდენიმე იყო ხელმისაწვდომი.

სახალხო დამცველის ოფისის თანახმად, სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე ზრუნვა ევალებოდათ, არ გააჩნდა საკმარისი ინფრასტრუქტურა, მომზადებული თანამშრომლები, ფსიქო-სოციალური სამსახურები და გარესამყაროსთან კონტაქტი. ხოლო ოჯახებს თავად უწევდათ აღნიშნულ მომსახურებათა უზრუნველყოფა.

სახალხო დამცველის ოფისი გამოთქვამდა შეშფოთებას რეგიონულ დაწესებულებებში გარდაცვალების მაღალი რიცხვის გამო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფოს მართვის ქვეშე დაწესებულებებში რამდენიმე პირის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ სახალხო დამცველის ოფისის მიერ საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ გამოძიებები არაქმედითი იყო.

აპრილში შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების მშობლებმა შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის სახელმწიფოს დახმარების არათანაბარი განაწილება გააპროტესტეს. მათი თქმით, სახელმწიფოს დაფინანსებას მხოლოდ ზოგიერთი რეგიონის ბავშვები იღებდნენ. მშობლებმა შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის გაზრდა მოითხოვეს.

ფსიქიატრიის გლობალური ინიციატივის ფონდის თბილისის წარმომადგენლობამ, ფსიქიატრიის გლობალური ინიციატივის ფედერაციისა და სახალხო დამცველი ოფისის ერთობლივმა ანგარიშმა ფსიქიატრიული დაწესებულებების პრივატიზაციის შესახებ ნანეიშვილის სახელობის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის (ქუტირის საავადმყოფო) გადატვირთულობა აღწერა. ანგარიშის თანახმად, ზოგიერთ პაციენტს დერეფნებში სძინავს. საავადმყოფოში ფიზიკური და სანიტარული პირობები არაადამაკმაყოფილებელი იყო. ამას გარდა, ის პაციენტებს მხოლოდ მცირე თერაპიულ მკურნალობას სთავაზობდა.

ეროვნული/რასობრივი/ეთნიკური უმცირესობები

სახალხო დამცველის ოფისმა და არასამთავრობოებმა გაავრცელეს ინფორმაცია უმცირესობათა დისკრიმინაციის ზოგიერთი შემთხვევის შესახებ. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ 2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის აგვისტომდე მას ეროვნულ/ეთნიკურ ნიადაგზე მომხდარი დისკრიმინაციის ათზე მეტი შემთხვევის შესახებ აცნობეს. უმცირესობათა უფლებადამცველი არასამთავრობოების ცნობით, დისკრიმინაციის მსხვერპლი უფლებების შელახვას იშვიათად აპროტესტებდა, რადგან უფლებების შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნდა. აღნიშნული არასამთავრობოები აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას უმცირესობათა თემების არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, რასობრივ, ეროვნულ ან ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ ყოფილა.

მედია უმცირესობათა ჯგუფების წინააღმდეგ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე არაერთი ინფორმაცია გაავრცელა.

ქართული ენის არასათანადო ფლობა ქვეყნის ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის უმთავრესი შემაფერხებელი გარემოება იყო, თუმცა ინტეგრაციას პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური და კულტურული გარემოებებიც უშლიდა ხელს. ეთნიკური სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები და რუსები რეგიონებში, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ, უმთავრესად, მშობლიურ ან რუსულ ენაზე ურთიერთობდნენ. უმცირესობის ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ საჯარო სამსახურში მუშაობის დასაწყებად კანონის მიერ „ოფიციალური ენის ადეკვატური ცოდნის“ მოთხოვნა მათ ქვეყნის მართვაში

მონაწილეობიდან რიყავდა. სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, ეროვნული მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა პრობლემად რჩებოდა და ცენტრალურ ხელისუფლებაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების რიცხვი მცირე იყო.

მთავრობა აგრძელებდა „1+4“ პროგრამას ეთნიკური უმცირესობებისათვის, რაც უნივერსიტეტში შესვლამდე ერთი წლის განმავლობაში ქართული ენის შესწავლას ითვალისწინებდა. კვოტების სისტემის თანახმად, მთავრობამ ქვეყნის უნივერსიტეტებში ბაკალავრიატისა და უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხის ადგილების 12 პროცენტი ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ სტუდენტებს მიანიჭა. ეთნიკურად სომეხმა და აზერბაიჯანელ სტუდენტებს ადგილების 5-5 პროცენტი გადაეცათ, ხოლო ოსებსა და აფხაზებს - თითო-თითო პროცენტი.

კანონი 1944 წელს გასახლებულ მუსლიმ მესხებს რეპატრაციის უფლებას აძლევს. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, აგვისტოს მდგომარეობით, რეპატრაციის შესახებ 5,841 განცხადებიდან 1,998 დაკმაყოფილდა. ამათგან, 494-მა განმცხადებელმა „პირობითი მოქალაქეობა“ მიიღო, რაც, პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მოქალაქეები უცხო ქვეყნების მოქალაქეობაზე უარის თქმის შემთხვევაში ხუთი წლის შემდეგ საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეობას მიიღებენ.

აფხაზეთის გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველები სამართლებრივი სტატუსი გაურკვეველი იყო. მათ ქართულ ენაზე განათლების მიღებაში პრობლემები ექმნებოდათ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცნობით, 2016 წლისაგან განსხვავებით, გალელი მოსწავლეების ნაწილს, რომელიც სკოლებში საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიაზე დადიოდა, სასწავლო წლის დაწყებისთანავე ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთის პრობლემა შეექმნა. 2015 წელს დე-ფაქტო ხელისუფლებამ გალის ქვემო ზონის სოფლებში დაწყებითი კლასის მოსწავლეების სწავლა რუსულ ენაზე გადაიყვანა. აფხაზეთის დევნილი მთავრობის ინფორმაციით, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ზონებში რუსული ენა ოფიციალური სასწავლო ენა იყო და დე-ფაქტო მთავრობამ ქართულ ენაზე სწავლება 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ აკრძალა. მასწავლებლები, რომლებიც რუსულ ენას არ ფლობდნენ, გაკვეთილების რუსულად დაზეპირება უწევდათ. ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილებს არაოფიციალურად კვლავ ქართულად უტარებდა. სახალხო დამცველის ოფისმა აღნიშნა, რომ გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში ეთნიკურად ქართველი მოსწავლეებისა და მასწავლებლების რუსულის ცოდნის დონე დაბალი იყო. ამგვარად, რუსულ ენაზე გადასული სწავლება განათლების ხარისხს საგრძნობლად აუარესებდა. ადგილობრივ მაცხოვრებლებს მასწავლებლების დაქირავება, საქართველოს კონტროლირებული ტერიტორიიდან მასწავლებლის მიწვევა ან ბავშვების ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაღმა გაგზავნა უწევდათ, რათა ბავშვებს ქართულ ენაზე ესწავლათ. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს საუნივერსიტეტო გამოცდების ჩასაბარებლად ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთა უწევდათ. ნოემბერში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ გალის ქვედა ზონის სოფელ თაგილონში მოსწავლეთა სიმცირის გამო საშუალო სკოლა დახურა, რამაც 23 მოსწავლისათვის სასწავლო

პროცესი შეაფერხა. მათ თაგილონის სხვა სკოლაში ან მეზობელ სოფელ ნაბაკევის სკოლაში გადასვლა მოუხდათ.

სექტემბრის დასაწყისში სამხრეთი ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორის რაიონის ექვსი ქართული სკოლისა და ორი საბავშვო ბაღის სასწავლო პროგრამების უმეტესი საგნების რუსულ ენაზე გადაყვანა დაიწყო.

ძალადობის, დისკრიმინაციისა და უფლებათა დარღვევის სხვა შემთხვევები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე

კონსტიტუცია კანონის წინაშე ფუნდამენტურ თანასწორობას უზრუნველყოფს. სხვადასხვა კანონი და რეგულაცია ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს შეიცავს. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, თუ დანაშაული ჩადენილია მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციის გამო, დამნაშავის მიკერძოებული მოტივი ნებისმიერ დანაშაულში დამამძირებელ გარემოებადაა მიჩნეული.

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი (LGBTI) პირები კვლავ განიცდიდნენ სისტემურ ძალადობას, ჩაგვრას, უფლებათა შელახვას, შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციას ცხოვრების ყველა სფეროში. არასამთავრობოთა ცნობით, მთავრობა კანონის მოთხოვნებს იშვიათად ასრულებდა, ხოლო სამართალდამცველი უწყებების თანამშრომლებს სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან საბრძოლველად სათანადო გადამზადება აკლდათ.

ლგბტი ორგანიზაციები, არასამთავრობოები და სახალხო დამცველის ოფისი მიუთითებდნენ, რომ საზოგადოების უარყოფითი განწყობა ლგბტი წარმომადგენელთა მიმართ კვლავ ძლიერი იყო. ორგანიზაციები მიუთითებდნენ, რომ მთავრობის მიერ ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის არაქმედითმა განხორციელებამ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ლგბტი წარმომადგენელთა ნდობა შეამცირა. ორგანიზაციების ცნობით, პოლიტიკოსთა და საჯარო მოხელეთა მიერ გაკეთებულმა ზოგიერთმა ჰომოფობიურმა განცხადებამ ლგბტი პირების მიმართ სიძულვილი და მიუტევებლობა კიდევ უფრო გააძლიერა.

აგვისტოში სექსუალურ უმცირესობათა დამცველი ორგანიზაციის ორმა ლიდერმა ბათუმის პოლიციის მეექვსე განყოფილების თანამშრომლები არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობაში, მათ შორის ფიზიკურ შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს. აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, რომ პოლიცია არ ჩაერია, როდესაც რამდენიმე პირი მათ ქუჩაში თავს დაესხა. საბოლოოდ, პოლიციამ სწორედ სექსუალური უმცირესობის ორი წარმომადგენელი დააკავა. დაკავებულებმა განაცხადეს, რომ ოფიციალურმა პირებმა დაკავებისას მათი უფლებები შელახეს. სასამართლომ სექსუალური უმცირესობის ორივე წარმომადგენელი პოლიციის დაუმორჩილებლობისათვის 300 ლარით (120 დოლარი) დააჯარიმა. პოლიციას არცერთი სავარაუდო თავდამსხმელი არ დაუკავებია. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ და მთავარმა პროკურატურამ მომხდარის გამოძიება დაიწყეს. სექტემბრის მდგომარეობით, გამოძიება ჯერ ისევ გრძელდებოდა.

თებერვალში თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის (IDAHOT) აღსანიშნავად შეკრებილი აქტივისტების უსაფრთხოება ვერ დაიცვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქციის მონაწილეთათვის კომპენსაციის სახით 12,500 ლარის (5,000 დოლარი) გადახდაც დაეკისრა. 17 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ სარჩელი განსახილველად არ მიიღო.

სექსუალურ უმცირესობათა თემის წარმომადგენლების განცხადებით, კანონი ტრანსგენდერი პირების სქესის აღიარებას ითხოვს. არასამთავრობოები კი იუწყებოდნენ, რომ სამოქალაქო რეესტრის ოფისისა და მომსახურების განვითარების სააგენტოს სტანდარტით, აპლიკანტმა სქესის შეცვლის ქირურგიული ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი უნდა წარადგინოს, რათა ოფიციალურ დოკუმენტებში მისი გენდერული სტატუსი შეიცვალოს.

17 მაისს, სექსუალურ უმცირესობათა ორგანიზაციებმა ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე ინციდენტის გარეშე აღნიშნეს. აქციის დაახლოებით 200 მონაწილე აქციაზე მთავრობის მიერ გამოყოფილი უსაფრთხო ტრანსპორტით მივიდა, სამართალდამცველებმა კი აქციის ჩატარების ადგილის გარშემო რამდენიმე კვარტალში ფეხით მოსიარულეთა და ავტომობილების გადაადგილება შეზღუდეს. ზოგიერთმა არასამთავრობომ აღნიშნული აქცია წინ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა, მაგრამ მიუთითა, რომ უსაფრთხოების გამკაცრებული ზომები შეკრების თავისუფლებას ზღუდავდა.

აივ-ინფექციის და შიდსის სოციალური სტიგმა

აივ/შიდსის მქონე პირების მიმართ სტიგმა და დისკრიმინაცია ძირითადი ბარიერი იყო აივ/შიდსის პრევენციისა და მომსახურების მიღების გზაზე. უარყოფითი სოციალური დამოკიდებულება და საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა აგრეთვე დაბრკოლებად რჩებოდა. არასამთავრობოების ცნობით, სოციალური სტიგმა აიძულებდა ადამიანებს, აივ/შიდსზე ტესტირებისა და მკურნალობისთვის თავი აერიდებინათ. ჯანდაცვის ზოგიერთი მუშაკი, განსაკუთრებით სტომატოლოგები, აივ-ინფიცირებულთა მომსახურებაზე უარს აცხადებდნენ. სამუშაოს დაკარგვის შიშით, ადამიანები დამსაქმებლებთან ხშირად მალავდნენ თავიანთ აივ/შიდსის სტატუსს.

ნაწილი 7. მშრომელთა უფლებები

ა. გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური შეთანხმების უფლება

შრომის კოდექსი და მასთან დაკავშირებული ნორმები და დებულებები უზრუნველყოფენ მშრომელთა უმრავლესობის, მათ შორის, მთავრობაში დასაქმებული პირების უფლებას, შექმნან და შეუერთდნენ დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირებს, უზრუნველყოფენ მათი გაფიცვის

კანონიერ უფლებას, აგრეთვე დამსაქმებელთან შრომით პირობებზე კოლექტიურ შეთანხმებას. თანამშრომლები ვალდებული არ არიან, შრომით პირობებზე კოლექტიურად იდაონ, თუნდაც პროფკავშირს ან თანამშრომელთა გაერთიანებას ეს სურდეს. კანონი იძლევა გაფიცვის უფლებას მხოლოდ იმ უთანხმოებებისას, რომელიც უკვე მოქმედ კოლექტიურ შეთანხმებას ეხება. გაფიცვები ხანგრძლივობაში არ იზღუდება, მაგრამ კანონი მშრომელთა მასობრივ დათხოვნას 90 დღით ზღუდავს. სასამართლომ შესაძლოა იმსჯელოს გაფიცვის კანონიერებაზე. გაფიცვის წესის დამრღვევს, შესაძლოა, ორ წლამდე პატიმრობა მიესაჯოს. კანონი დამსაქმებელს პროფკავშირების წევრობის ან პროფკავშირული საქმიანობისათვის დასაქმებულის დისკრიმინაციას ზოგადი ტერმინებით უკრძალავს, მაგრამ კანონი დამსაქმებლისაგან გარკვევით არ ითხოვს პროფკავშირული საქმიანობისათვის დათხოვნილი პირის სამსახურში აღდგენას. კანონი განსაზღვრავს მიგრანტი მშრომელების უფლებებს და არეგულირებს მიგრანტ მშრომელებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის დამსაქმებლისა და მშრომელის ურთიერთობას, აგრეთვე იმ სახელმწიფო უწყებების როლს, რომელთაც მიგრანტ მშრომელებთან დაკავშირებულ საკითხებზე რეაგირება ევალებათ.

საქართველოს პროფკავშირების კონფედერაცია (GTUC) იუწყებოდა, რომ ზოგიერთი კატეგორიის მშრომელებს, რომელთა საქმიანობა, მთავრობის განსაზღვრებით, დაკავშირებული იყო „ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან“, გაფიცვა ეკრძალებოდათ. ამავე დროს, მთავრობას მათთვის ამგვარი შეზღუდვის გამო საკომპენსაციო მექანიზმი არ გააჩნდა. საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის თანახმად, ზოგიერთი პროფესიის პირებისათვის გაფიცვის უფლების აკრძალვა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა.

მთავრობა ქმედითად არ ასრულებდა კანონებს, რომელიც მშრომელებს შეკრების თავისუფლებას ანიჭებდა და ამავე დროს პროფკავშირებში გაერთიანების მიზეზით მათ დისკრიმინაციას კრძალავდა. ამდენად მშრომელთა უფლებების შელახვა კვლავ გრძელდებოდა. თანამშრომელთა თვითნებური დათხოვნის შემთხვევებში ქმედითი ჯარიმები ან გასაჩივრების მექანიზმები არ არსებობდა. შრომით უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი დავები დროში ძალიან იწელებოდა. ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სრულყოფილი შრომითი ინსპექციისა და მედიაციის სამსახურების არარსებობის პირობებში, (კანონის მოთხოვნის მიუხედავად) მთავრობა ვერ ახერხებდა იმ კანონების დაცვას, რომელიც შრომით პირობებზე კოლექტიური შეთანხმებებს არეგულირებს; აგრეთვე ვერ ახერხებდა დამსაქმებელთა ზედამხედველობას, რათა მათ შრომითი კოდექსის მოთხოვნები დაეცვათ. დასაქმებულებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ შრომითი ხელშეკრულებები უკანონოდ შეუჩერეს, სასამართლოში საჩივარი დათხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა შეიტანონ.

პრემიერ-მინისტრმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დაავალა, ეხელმძღვანელა სამმხრივი კომისიისათვის, რომელიც მეწარმეთა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებს შორის სოციალურ დიალოგს უწყობს ხელს.

მშრომელები, როგორც წესი, ახერხებდნენ კანონით მინიჭებული გაფიცვის უფლების გამოყენებას, მაგრამ ზოგჯერ მენეჯმენტისგან ანგარიშსწორებას აწყდებოდნენ. საქართველოს პროფკავშირების

კონფედერაციის ინფორმაციით, საქართველოს ფოსტასა და საქართველოს რკინიგზაში დამსაქმებელთა მიერ მხარდაჭერილი „ყვითელი“ პროფკავშირების გავლენა იზრდებოდა და დამოუკიდებელი პროფკავშირების მოქმედებას ხელს უშლიდა. არასამთავრობოებს, რომლებიც მშრომელთა უფლებებზე მუშაობენ, მთავრობის მხრიდან მათი საქმიანობის შეზღუდვის შესახებ არაფერი უთქვამთ.

ავვისტოში საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის წევრი ორგანიზაციის რკინიგზის მშრომელთა პროფკავშირების ოთხმა წარმომადგენელმა შიმშილობა გამოაცხადა. მათი განცხადებით, ისინი რკინიგზის მენეჯმენტის უსამართლო მოპყრობას აპროტესტებდნენ. მოგვიანებით, შიმშილობას რკინიგზის კიდევ 11 მუშაკი შეუერთდა. ზოგიერთმა მოშიმშილემ რკინიგზის მენეჯმენტი მათ ოჯახებზე ზეწოლაში დაადანაშაულა. მოშიმშილეთა განცხადებით, მენეჯმენტი მათ საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციასთან თანამშრომლობისათვის ერჩოდა. რკინიგზის მენეჯმენტმა და მოგვიანებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მოშიმშილეებს რკინიგზის ადმინისტრაციული შენობის წინ კარვის გაშლის უფლება არ მისცა. ზოგიერთმა დემონსტრანტმა ადმინისტრაციულ შენობაში შესვლა სცადა. პოლიციამ ზოგიერთი მათგანი დააკავა. დემონსტრანტებმა პოლიცია ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ მათი დაკავება და კარვის გაშლაზე მიღებული უარი მათი გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას ზღუდავდა. მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა პროფკავშირების ლიდერები ყოფილ პრეზიდენტთან კავშირში და პოლიტიკურ მოტივაციაში დაადანაშაულა. საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის მისი ორგანიზაციის სამხრივ კომისიაში მუშაობას შეაჩერებდა, თუ უთანხმოება ვერ მოგვარდებოდა. 3 სექტემბერს შიმშილობა დასრულდა. დეკემბრის მდგომარეობით, სასამართლოს მიერ შრომითი დავის განხილვა კვლავ გრძელდებოდა.

ბ. იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვა

კანონი იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმას კრძალავს. მთავრობა კანონებს ყოველთვის ქმედითად ვერ ასრულებდა. იძულებითი შრომა სისხლის სამართლის დანაშაულია, რომლის სასჯელი იმგვარია, რომ საკმარისი უნდა იყოს კანონდარღვევის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ იძულებითი ან სავალდებულო შრომის საქმეების, განსაკუთრებით სექსუალური ექსპლუატაციისათვის ადამიანის ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებათა სიმცირე მკაცრი სასჯელების ეფექტს ანულებდა და იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენებას ახალისებდა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ იძულებითი ან სავალდებულო შრომის შემთხვევები არ აღმოუჩენია. მაგრამ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ იძულებითი შრომის მაგალითები არსებობდა. საქართველოს პროფკავშირების კონფედერაცია აცხადებდა, რომ მთავრობას იძულებით შრომასთან საბრძოლველად ძალისხმევა არ გაუზრდია. კანონი სამინისტროს ინსპექციას უფლებას ანიჭებს, გამოუცხადებლად ესტუმროს ბიზნესს, რომელიც შრომის იძულებაში ან ადამიანთა ტრეფიკინგშია ეჭვმიტანილი. სამინისტროს

განცხადებით, სექტემბრის მდგომარეობით, ადამიანთა სავარაუდო ტრეფიკინგისა და იძულებითი შრომის ეჭვის საფუძველზე 106 კომპანია შემოწმდა.

იხ. აგრეთვე სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ შემდეგ ბმულზე: www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/.

გ. არასრულწლოვანთა შრომის აკრძალვა და დასაქმების მინიმალური ასაკი

დასაქმების მინიმალური ასაკი, როგორც წესი, 16 წელია, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში, არასრულწლოვნებს, მშობლების თანხმობის შეთხვევაში, უფლება აქვთ, 14 წლიდან იმუშაონ. არასრულწლოვან მოქალაქეებს, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ, ჯანმრთელობისათვის საშიში, მიწისქვეშა ან სახიფათო სამუშაოს შესრულება ეკრძალებათ. 16-18 წლის მოზარდებისთვის შემცირებული სამუშაო საათები მოქმედებს და მათ ღამით მუშაობაც ეკრძალებათ. 14 წლამდე ასაკის მოზარდთან სპორტულ, სახელოვნებო, კულტურულ და სარეკლამო საქმიანობაში მონაწილეობისათვის შრომითი შეთანხმების გაფორმება კანონით ნებადართულია.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში არასრულწლოვანთა შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები არ აღმოუჩენია. დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, არასრულწლოვანთა შრომის კანონმდებლობის დარღვევას სასჯელად შეიძლება მოჰყვეს ჯარიმა, სამუშაო ნებართვის ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო, პრობაცია ან დაპატიმრება. არასრულწლოვანთა შრომის კანონმდებლობის დარღვევის საქმეებზე ჩატარებულ გამოძიებათა სიმცირის გამო გაურკვეველია, თუ რამდენად ქმედითად ასრულებს მთავრობა კანონს. შრომითი ინსპექციის არარსებობა, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა, დაეწერა ჯარიმები, სერიოზულად აზარალებს კანონის აღსრულებას. ბევრი არასრულწლოვანი, რომელსაც 16 წელი არ შესრულებოდა, მუშაობდა მცირე ზომის, ოჯახური ტიპის ფერმებში. უმეტეს შემთხვევაში, ხელისუფლება ასეთ სამუშაოს არასრულწლოვანთა უფლებების შემლახავად ან არასრულწლოვანთა იძულებით შრომად არ განიხილავდა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ზოგიერთ რეგიონში, საოჯახო ფერმაში მუშაობის ვალდებულება არასრულწლოვანთა სკოლაში მოსწრებას უშლიდა ხელს. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების სასკოლო მოსწრება განსაკუთრებით დაბალი იყო. ზოგიერთი ოჯახი ქვემო ქართლისა (ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონი) და კახეთის სოფლებში (სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის რიცხვი მაღალია) წლის განმავლობაში 6-9 თვე შორეულ სამოვრებზე მუშაობდა. ამიტომ მათი შვილები იშვიათად ესწრებოდნენ სასკოლო გაკვეთილებს. ამგვარ არასრულწლოვანთა რიცხვი დაზუსტებული არ იყო.

იხ. აგრეთვე აშშ-ის შრომის დეპარტამენტის დასკვნები არასრულწლოვანთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ ბმულზე www.dol.gov/ilab/reports/child-labor/findings/.

დ. დისკრიმინაცია დასაქმებასა და სამუშაო ადგილის დაკავებაში

კანონი კრძალავს დისკრიმინაციას დასაქმებაში, მაგრამ ის აივ-დადებითი სტატუსის ან სხვა გადამდები დაავადებებისა, თუ სოციალური წარმომავლობის საფუძველზე დისკრიმინაციას სპეციფიკურად არ კრძალავს. კანონი ამბობს, რომ დისკრიმინაციაა „პირის უფლებების პირდაპირი

ან ირიბი შელახვა, რომლის მიზანია ან რომელიც წარმოშობს საშიშ, მტრულ, ღირსებისა და პატივის შემლახავ ან შეურაცხყოფელ გარემოს.“

რადგან შექმნილი არ იყო შრომითი ინსპექციის ან შრომის ინსპექტორის საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც დამსაქმებელთა დაჯარიმების უფლებამოსილება ექნებოდა, მთავრობა კანონს ქმედითად ვერ ასრულებდა.

დისკრიმინაცია სამუშაო ადგილებში ფართოდ იყო გავრცელებული. საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციამ აღწერა დისკრიმინაციის შემთხვევები, რომელთა საფუძველი ასაკი, სექსუალური ორიენტაცია და პროფკავშირებთან თანამშრომლობა იყო. კომპანიები და საჯარო დაწესებულებები ხშირად აწყობდნენ რეორგანიზაციას, რათა სამსახურიდან საპენსიო ასაკს მიღწეული ადამიანები გაეშვათ. ამას გარდა, განცხადებები ვაკანსიების შესახებ ხშირად შეიცავდა ინფორმაციას საჭირო ასაკის შესახებ, როგორც წინაპირობას კონკრეტულ სამუშაო ადგილზე საბუთების შესატანად. პროფკავშირების კონფედერაციამ განაცხადა, რომ საჯარო და კერძო სექტორებში, განსაკუთრებით საქართველოს რკინიგზასა და საქართველოს ფოსტაში, პროფკავშირების წევრობის გამო თანამშრომელთა შევიწროება ფართოდ გავრცელებული იყო.

კანონი შრომით ბაზარზე თანასწორობას იცავს, მაგრამ არასამთავრობოები იუწყებოდნენ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ეთანხმებოდა მათ, რომ სამუშაო ადგილებზე ქალთა დისკრიმინაცია ხდებოდა და ამგვარი შემთხვევები სათანადოდ აღწერული არ იყო. ზოგიერთმა დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ შრომით ბაზარზე ქალთა ხელმისაწვდომობა სულ უფრო უმჯობესდებოდა, მაგრამ ქალები, მათი პროფესიული და აკადემიური მონაცემების მიუხედავად, უმეტესად მაინც ისეთ ადგილებზე მუშაობდნენ, სადაც დაბალ ანაზღაურებას უხდიდნენ და განსაკუთრებული უნარ-ჩვევები არ მოეთხოვებოდათ. ქალთა ხელფასები მამაკაცთა ხელფასებს ჩამოუვარდებოდა.

იყო სამუშაო ადგილებში შეზღუდული შესაძლებლობების გამო დისკრიმინაციის შემთხვევები. მთავრობას შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დასაქმების სტატისტიკა არ გააჩნდა, თუმცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებდა, რომ კომპანიების ინსპექტირებისას გამოყენებული კითხვარი მოიცავდა შეკითხვას, ჰყავდა თუ არა აღნიშნულ კომპანიას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დასაქმებული.

ე. შრომის მისაღები პირობები

მინიმალური ყოველთვიური ხელფასი ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია.

კანონი 40-საათიან სამუშაოს კვირას და კვირაში დასვენებისათვის გამოყოფილ 24 საათს განსაზღვრავს, იმ შემთხვევების გარდა, როცა შრომითი ხელშეკრულებით სხვაგვარადაა განსაზღვრული. ზეგანაკვეთური სამუშაო განსაზღვრულია, როგორც სამუშაო, რომელიც ზრდასრულმა თანამშრომელმა კანონით განსაზღვრული კვირაში 40 საათის მიღმა შეასრულა. ზეგანაკვეთურ სამუშაოს მხარეთა შორის დადებული შეთანხმება არეგულირებს. მთავრობის დადგენილებით, განისაზღვრება სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის საწარმოები, სადაც ზეგანაკვეთური ანაზღაურება შეიძლება არ გაიცეს, სანამ თანამშრომელი კვირაში 48 საათზე მეტს

არ იმუშავებს. სამუშაო ცვლებს შორის სხვაობა სულ ცოტა 12 საათს უნდა შეადგენდეს. თანამშრომლებს უფლება აქვთ, კალენდარული წლის განმავლობაში 24-დღიანი ანაზღაურებული და 15-დღიანი უხელფასო შვებულებით ისარგებლონ.

ფეხმძიმე ქალებს ან ქალებს, რომელთაც ახლახან გააჩინეს შვილი, მათი თანხმობის გარეშე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება არ მოეთხოვებათ. 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა სამუშაო კვირა 36 საათს არ უნდა აღემატებოდეს. 14-15 წლის მცირეწლოვანთა სამუშაო კვირა 24 საათს არ უნდა აღემატებოდეს. ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს "ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით." კანონი ცალსახად არ კრძალავს გადაჭარბებულ ზეგანაკვეთურ სამუშაოს. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტები დაწესებული არ ყოფილა.

წელს პარლამენტმა კენჭი უყარა შრომის უსაფრთხოებისა და უვნებლობის ახალ კანონპროექტს „მძიმე, ჯანმრთელობისათვის მავნე და სახიფათო“ სფეროებისათვის. კანონპროექტის მეორე მოსმენით კენჭისყრა დეკემბერში გაიმართა. კანონპროექტი იმ სფეროში მოღვაწე ბიზნესებისაგან, რომელთა სია ჯერ განსაზღვრული არ არის, მოითხოვს, რომ სახელმწიფოს ნება დაერთოს, ჩაატაროს შრომის უსაფრთხოებისა და უვნებლობის წინასწარ შეუთანხმებელი ინსპექტირება. კანონპროექტი შრომით ინსპექტორებს, კანონის მოთხოვნათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ჯარიმების გამოწერის უფლებას ანიჭებს. პროგნოზირების კონფედერაციამ და არასამთავრობოებმა კანონპროექტი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ის მხოლოდ შრომის უსაფრთხოებასა და უვნებლობას შეეხებოდა და მისი სტანდარტები მხოლოდ „მძიმე, ჯანმრთელობისათვის მავნე და სახიფათო“ სფეროებისთვის იყო განკუთვნილი.

შრომითი ინსპექციისათვის საჭირო სამართლებრივი ჩარჩოს გარეშე, მთავრობა ქმედითად ვერ ასრულებდა კანონს მინიმალური ანაზღაურების, სამუშაო საათების, სამუშაოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტების შესახებ ნებისმიერი სექტორისათვის. შემოწმება კვლავ ნებაყოფლობითი იყო. ინსპექტორები დამსაქმებლებს შემოწმების შესახებ ხუთი დღით ადრე აფრთხილებდნენ. ინსპექტორებს დამსაქმებლებისათვის კანონთან შეუსაბამო სამუშაო პირობების შემთხვევაში ფულადი ჯარიმების ან სხვა სანქციების დაწესების უფლება არ ჰქონდათ. ამის მიზეზი ნაწილობრივ ის იყო, რომ კანონი სამუშაოს მისაღებ პირობებს არ განსაზღვრავს. ჯარიმები არაადეკვატურად მცირე იყო იმისთვის, რომ სამომავლოდ კანონდარღვევა აღეკვეთა. სექტემბრის მდგომარეობით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სამინისტროს, მისივე განცხადებით, 24 ინსპექტორი და 25 სათადარიგო ინსპექტორი ჰყავდა. სამინისტრომ განაცხადა, რომ სექტემბრის მდგომარეობით, 137 კომპანია შეამოწმა. ინსპექტორთა რაოდენობა საკმარისი არ იყო, რომ კანონთან შესაბამისობა გაკონტროლებულიყო. კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ ასევე მოიცავდა შრომითი ინსპექტორების საწარმოებში შესვლის უფლებას, მაგრამ კრძალავდა გამოუცხადებელ ვიზიტებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადამიანებით ვაჭრობის ეჭვი არსებობდა.

მშრომელთა უფლებების დარღვევები გრძელდებოდა. მშრომელთათვის სარისკო სამუშაოსაგან თავის დახსნა ისე, რომ მათ სამსახურს საფრთხე არ შექმნოდა, რთული იყო. მშრომელები,

რომლებსაც ვადიანი კონტრაქტებით ქირაობდნენ, შიშობდნენ, რომ თუ დამსაქმებელთა ყურადღებას იმ ვითარებებზე მიაპყრობდნენ, რომელიც მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ემუქრებოდა, დამსაქმებლები კონტრაქტებს აღარ გაუგრძელებდნენ.

მიგრანტი მშრომელების პირობები, ზოგადად, დაურეგულირებელი იყო. მთავრობა ქვეყანაში მყოფი მიგრანტი მშრომელების შესახებ სტატისტიკას არ აწარმოებდა, მაგრამ საჯარო სერვისების განვითარების სააგენტომ მიგრანტი მშრომელებისათვის ბინადრობის 9,551 ნებართვა გასცა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ცნობით, მიგრანტი მშრომელების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში უცხოელთა მიერ დაფინანსებულ პროექტებზე სამუშაოდ ჩამოვიდა და სამუშაო ადგილზევე ცხოვრობდა. ორგანიზაციის ინფორმაციით, სხვა მიგრანტმა მშრომელებმა სამსახური ტურიზმის მზარდ ინდუსტრიაში იპოვეს ან ჩამოვიდნენ წინასწარ განსაზღვრული სამსახურის გარეშე, ვერ დასაქმდნენ და არ გააჩნდათ საკმარისი რესურსი საქართველოში დასარჩენად ან შინ დასაბრუნებლად.

მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არაფორმალურ ეკონომიკაში იყო დასაქმებული. არაფორმალურ ეკონომიკაში სამუშაო კონტრაქტები იშვიათად ფორმდება. ამიტომ ხშირი იყო ექსპლუატატორული პირობები, განსაკუთრებით ქუჩისა და დაურეგულირებელი ბაზრობების მოვაჭრეებს შორის.

საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის ინფორმაციით, საანგარიშო წლის განმავლობაში, სამუშაო ადგილზე და საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად, 41 ადამიანი გარდაიცვალა და 63 დაშავდა. მძღოლები და მშენებლობები განსაკუთრებით საშიშ საქმიანობად რჩებოდა. მათში ტყიბულში ლიფტის ჩავარდნის შედეგად ოთხი მძღოელი დაიღუპა.